პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე.

კომუნისტი

ს. კ. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 260 კვირა, 11 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000 მ ნ. № 260

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

კრაკოვში დამთავრდა აჯანყება. რკინისგზელები განაგრძობენ გაფიცვას.

ბერლინში მიღებულ ცნობებით, ბავარიაში მონარქისტულ გადატრიალების ხელმძღვანელნი ჰიტლერი და გენერალი ლიუდენდორფი დატუსაღებულია მიუნხენში.

საფრანგეთმა ოფიციალურად აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ ის არ მოითმენს გერმანიაში სამხედრო დიქტატურას.

რეიხსვერმა სავსებით დაიკავა მთელი ტიურინგია.

ორშაბათს, 12 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე,
სახალხო სახლში (კირკის ქ.)
მოწვეულია

ტფილისის საბჭოს მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის შესახებ, 2 მოხსენება საადგილ-მამულო განყოფილების მუშაობის შესახებ.

საბჭოს ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საბჭოს წევრებს დაურიგდებათ აღმასკომის მუშაობის ანგარიში.

731—2—2 პრეზიდიუმი.

მონარქისტული-რესტავრაციის ცდა გერმანიაში

ნოემბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავზე, კაიზერის მიმდევრებმა გერმანიაში სცადეს გადატრიალების მოხდენა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. „გადატრიალებას“ ადგილი ჰქონდა, რასაკვირველია, შავ ბავარიაში და მას მეთაურობდნენ ცნობილი გენერლები ლიუდენდორფი და ჰიტლერი. სამზადისს წინ უძღოდა ხმები იმის შესახებ, რომ გერმანიაში ბრუნდება ყოფილი კრონპრინცი. როგორც უკანასკნელი რადიო ცნობიდან სჩანს „გადატრიალება“ ამჟამათ გამოდგა უდღეური და „ერთი საათის ქალიფები“ დატყვევებული არიან.

მონარქისტული გადატრიალება, ფრიად დამახასიათებელია დღევანდელი გერმანიისთვის. იმ საერთო არევდარევის, მემარცხენე პარტიების და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიის მერყეობის დროს,--რომელიც იმითი ხასიათდება, რომ ფართო გასაქანი ეძლევა მემარჯვენე ელემენტებს და შევიწროეული არიან მემარცხენეები, პროლეტარიატი და მისი პარტია, კომპარტია,—ამ დროს ბუნებრივია ინიციატივა გამოიჩინოს ჯგუფმა, რომელსაც შეიძლება ლეგიონები არ მისდევდეს, მაგრამ რომელიც თავისი წარსული მდგომარეობით სახელმწიფოში და ომის დროს ბევრ რამეს ეუბნებოდეს „ჭეშმარიტ გერმანელის“ სულსა და გულს.

დღეს პირველი ცდა მონარქისტული რესტავრაციისა ჩაფუშულია, მაგრამ მის განმეორებას და შესაძლებლობას ჰკვებავს ის პირობები, რომლებიც შექმნეს სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი შემთანხმებლობით და ღალატით. გარკვეულ მომენტში, როდესაც ბრძოლაა საჭირო, სისწრაფე და გამბედაობა, ასეთ მომენტში ტკბილი ენით საუბარი რევოლიუციის მოსისხლე მტრებთან, მოასწავებს ამ მტრების დახმარებას და რევოლიუციის შემტევი ძალების შესუსტებას.

ასეთ აშკარა საბოტაჟს ეწეოდნენ რუსეთშიც შემთანხმებელი პარტიები ოქტომბრამდე, ამასვე იმეორებენ ამ პარტიის მეგობრები გერმანიაშიც.

რეფორმისტული სოციალიზმი, ეწევა რა საბოტაჟს რევოლიუციისას, ჰქმნის პირობებს რესტავრაციისათვის. თუ ეს უკანასკნელი არ დასცალდათ რუსეთის სოციალისტურ პარტიებს, მაგიერათ საბოტაჟს აწყობდენ სანამ ძალა შესწევდათ და ფიზიკურათ არ დაამარცხა ისინი რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა. გერმანიაში, სამაგიეროთ მათ დასცალდათ ბოლომდე ეს მუშაობა და ჩვენ ვხედავთ, რომ მათ მოამზადეს კიდევაც პირობები მემარჯვენეთა გამარჯვებისათვის იმდენათ, რომ მოწამე ვხდებით მონარქისტული გადატრიალების. სოციალ-შემთანხმებლების ზურგზე სახელმწიფო ძალაუფლებას დაუახლოვდა რეაქცია და ხელი წაუპოტინა მას.

უაღრესი სიფხიზლე და ძალების დაჭიმვაა საჭირო რათა საბოლოოთ არ გაიმარჯვონ მემარჯვენეებმა და შესაძლებელი შექნეს წინსვლა გერმანიის ოქტომბრისაკენ. ეს მოხდება, მაგრამ მხოლოთ ერთ შემთხვევაში: წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიისა და ყველა ბურჟუაზიულ პარტიებისა, მხოლოთ მათი დამარცხების გზით.

წყალში გადაყრილი ფულები

(ნიმუში ჩვენი „მომჭირნეობისა“)

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა, უამრავი აუცილებელი სახელმწიფო ხარჯების საჭიროება, ბრძანებითი კილოთი გვიკარნახებს ჩვენ, გავსწიოთ უკიდურესი მომჭირნეობა. მთელი რიგი სპეციალური კომისიებისა, როგორც პარტიული და საბჭოთა აპარატიდან, აწარმოებენ მუშაობას ამ მიმართულებით. შემცირებულ შტატებს კვლავ ამოკლებენ, დაწესებულებათა შემცირებულ აპარატს კიდევ ამცირებენ, დარჩენილის ხარჯებს აუცილებელ მინიმალურ მინიმუმამდე სწევენ, რათა ამ გზით მიაღწიონ მაქსიმალურ შედეგებს და კაპეიკზე კაპეიკს დადებით სახელმწიფო სალაროს ზედმეტი მანეთი შესძინონ ქვეყნის აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული რამოდენიმე ნიმუში ჩვენი მომჭირნეობისა ამ მიმართულებით ენერგიული მუშაობისა. თამამათ შეიძლება თქვას, რომ ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრივი მუშაობა მიმდინარეობს საერთო მომჭირნეობის, „შეკუმშვის“ ნიშან ქვეშ ის მუშაკი, პარტიული თუ საბჭოთა აპარატის, რომელსაც ვერ უგნია მომენტის ეს ამოცანა—განაგრძლივებს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მოუწყობლობას, აფერხებს ეკონომიური აღორძინების საქმეს და საშინელ ზიანს აყენებს რევოლიუციას და მუშათა კლასს. ჩვენ სრულებით არ გვაინტერესებს ამ შემთხვევაში, ჩადის ის ყოველივე ამას შეუგნებლათ ან არა წინასწარი განძრახვით თუ შეგნებულათ და მოფიქრებული გეგმით. ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს დანაშაულებასთან სახელმწიფოს წინაშე.

ყოველივე ამის თქმა საჭირო შეიქმნა ერთი (?) შემთხვევის გამო, რომელზეც გვსურს მივაქციოთ სათანადო პარტიულ და სახელმწიფოებრივი ორგანოების ყურადღება.

ჩვენ წინ სძევს, შესანიშნავ ქაღალდზე სუფთათ გამოცემული, საკმაოთ დიდტანიანი წიგნი, რომელიც ხელოვნურათ აჭრელებული დიაგრამებიანა შეიცავს დაახლოებით 200 გვერდს. წიგნს აწერია: „Пролетарии всех стран, соединяйтесь. Народный комиссариат продовольствия Советской Социалистической Республики Грузии. Отчет за 1921 год.*)“ ამ არაჩვეულებრივი წიგნის მხოლოთ პირველი ათნახევარი გვერდი უჭირავს ტექსტს, სადაც მოთხრობილია კომისარიატის სტრუქტურის, მოღვაწეობისა და მიღწევათა შესახებ და ხელმოწერილია ამხ. ა. ერქომაიშვილისა და კომისარიატის ფინანსიურ საანგარიშო განყოფილების უფროსის გ. როდოფინოვის მიერ. ხოლო დანარჩენი უჭირავს საბუხჰალტერო წიგნების ცნობებს, „ბრუნვის ბალანსებს“, დებიტორებისა და კრედიტორების სიას, ინვენტარს, ბალანსებს, კიდევ ბალანსებს და სულ ასე ბოლომდის და წარმოადგენს საქონლის სახელწოდებათა და ციფრების გაუვალ, სულის შემხუთავ უდაბნოს, რომელსაც არავინ არ წაიკითხავს, არავინ არ შეისწავლის, ალბათ არავისაც არ დააინტერესებს ასეთი ფორმით და რომელიც დარჩება კომისარიატის გამტვერიანებულ არქივებში, სანამ წონით არ გაიყიდება სხვა საარქივო სიძველეებთან ერთად სხვა და სხვა ხილის ან სანოვაგის გამოსახვევ ქაღალდათ.

ჩვენის ცნობით ეს „თხზულება“ დაბეჭდილია 100 ეგზემპლიარის რაოდენობით და კომისარიატმა უნდა გადაიხადოს მარტო ტიპოგრაფიული და ლიტოგრაფიული ხარჯების დასაფარავათ 1322 ჩერვონეცის მანეთი. ჩვენ არას ვლაპარაკობთ ქაღალდზე და სხვა სამუშაოებზე მის გამოსაცემათ.

ჩვენ ვიცით, რომ ანგარიშების მოწესრიგება საჭიროა. ბუხჰალტერიის ზედმეტი მუშაობის ხარჯებიც საკმაო თანხას უდრიან ხოლმე და ძალაუნებურათ ასეთ ხარჯებს უნდა შევურიგდეთ ზოგიერთ შემთხვევებში. მაგრამ ამას გარდა კიდევ ისეთი უთავბოლო, ისეთი ყოველმხრივ გაუმართლებელი გაფლანგვა დაწესებულების და სახელმწიფოს საშუალებათა, როგორსაც ამ შემთხვევაში აქვს ადგილი, ყოვლად შეუწყნარებლათ და დანაშაულობათ მიგვაჩნია არა მარტო დღეს, ამ საერთო „შეკუმშვის“, „მომჭირნეობის“ დროს, არამედ საზოგადოთაც.

ამ უთავბოლობას, ამ განაცვიფრებელ და აღმაშფოთებელ ფლანგვას ერთხელ და სამუდამოთ მაგარი ხელით ხაზდვარი უნდა დაედოს. ათასი აუცილებელი მოთხოვნილება ეკონომიური თუ კულტურული დარგიდან (სწავლა-განათლება და სხვა) დაუკმაყოფილებელი რჩება და ამ დროს გვახრჩობენ ციფრების მტვერში და ეწევიან ზედმეტ ხარჯებს.

ვისთვის არის ეს საჭირო—ვეკითხებით ჩვენ სასურსათო კომისარიატს. რომელი სახელმწიფოებრივი ინტერესი ან რომელი უსახსრობის გამო დახურული სოფლის სკოლა მოითხოვს ასეთ „სახელმძღვანელოებს“, როგორიც არის 1923 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამოცემული 1921 წლის ანგარიში სასურსათო კომისარიატისა.

რაშია საქმე? რატომ იფლანგება ასე უაზროთ ამდენი ფული, რატომ გვახრჩობენ ციფრების ზღვაში?

მეთვალყურე.

---

*) რამდენადაც ვიცით, წიგნი გამოვიდა მხოლოთ ამ დღეებში.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

მალე ჩვენი წინამძღოლი სრულიად გამომრთელდება.

მოსკოვი, 10 ნოემბერი. კრასნოპრესნის რაიონის ახალგაზრდათა კომკავშირის კრებაზე ამხ. ლიადოვმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ა. წ. გაზაფხულზე ამხ. ლენინი არავითარ იმედს არ იძლეოდა გამომრთელებისას. ივლისში ექიმებისათვის სრულიად მოულოდნელად ამხ. ლენინმა იწყო სწრაფად გამომრთელება. მაშინ გაიგეს ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზი და სათანადო მიმართულებით დაიწყეს მკურნალობა.

ექიმები ფიქრობდენ, რომ ამხ. ლენინი ველარ შესძლებს კითხვას. ერთხელ სეირნობის დროს ამხ. ლენინი გაატარეს ორი ამხანაგის გვერდით, რომლებიც სკამზე ისხდენ და გაზეთს კითხულობდენ. ამხ. ლენინი მაშინ კიდევ არ ლაპარაკობდა და ანიშნა მხლებლებს მიეყვანათ იმ პირებთან, რომლებიც გაზეთს კითხულობდენ, გამოსტაცა მათ გაზეთი და ყველასათვის მოულოდნელად, მთელი ერთი საათის განმავლობაში ხარბად და დიდი ინტერესით კითხულობდა მას. ამის შემდეგ დაიწყო ჯანმრთელობის სწრაფი გაუმჯობესება.

ეხლა ამხ. ლენინი დაუხმარებლად ჩადის კიბეებზე მეორე სართულიდან. რადგანაც მარჯვენა ხელს ჯერ კიდევ ცუდად ხმარობს, ამხ. ლენინმა ისწავლა წერა მარცხენა ხელით. მისი გონება ინტენსიურად მუშაობს და ის ჩქარა დადგება საჭესთან.

წერილები ბერლინიდან

მიუნხენი ბერლინის წინააღმდეგ.

გერმანიის მთლიანობა დაირღვა. ბისმარკის მიერ სადოვაში და სედანში შექმნილი მთლიანობა უკვე აღარ არსებობს, თუმცა სახელმწიფოს ჯერ კიდევ ჰყავს პრეზიდენტი, მთავრობა, არმია. ძველი მთლიანობიდან მხოლოდ გარეგანი სახე დარჩა, მთლიანობა მხოლოდ წარსულის ნაშთს წარმოადგენს, წარსულისაკენ დაბრუნება დღითი დღე უფრო ძნელი და ძნელი ხდება! სახელმწიფოს სინამდვილეში არ ჰყავს არც პრეზიდენტი, არც არმია და, მაშასადამე, ძალაუფლება, მას არა აქვს არც ფული. ბ. პუანკარე უფრო მეტად სცნობს საბჭოების მთავრობას, რომლის ძლიერებას ის კარგათ იცნობს, ვიდრე შტრეზემანის მთავრობას. დანარჩენი გერმანიისაგან პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩამოშორებული რეინის ოლქი და რური აპირებენ საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შექმნას. ბავარიას თავი ისე უჭირავს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. საქსონიაში და ტიურინგიაში მუშათა ძალაუფლება დამყარდა. სახელმწიფო ხაზინა ცარიელია. ფაშისტური არმია მთავრობას არ ემორჩილება, ოფიციალური პრესა მხარს უჭერს ფინანსისტების საიდუმლო მთავრობას, რომელიც სამოქალაქო ომისათვის ემზადება.

გერმანიის მთლიანობის კრახი უდიდესი ისტორიული ფაქტია, რომელიც უკანასკნელი დღეების მოვლენებმა წარმოშვა.

15 ოქტომბრიდან დაიწყო კონფლიქტი წითელ საქსონიასა და ბერლინს შორის. გამოირკვა, რომ გენერალ მიულერს, სამხედრო დიქტატორს დრეზდენში, მხოლოდ იმიტომ ეჭირა თავი ასე თავხედურად (პროლეტარული რაზმების ძალით დაშლის მუქარა, ულტიმატუმი ცეიგნერს), რომ მას მხარს უჭერდა დიდი კოალიციის ბურჟუაზიული უმრავლესობა. ბერლინის მთავრობა აძლიერებდა რეიხსვერს საქსონიაში. ყოველ წუთს მოსალოდნელია პროვოკაცია, რომელიც აიძულებს გერმანიის პროლეტარიატს მიმართოს საყოველთაო გაფიცვას და აფრიალოს აჯანყების დროშა.

მაგრამ 19 და 20 ოქტომბერს მდგომარეობა სრულიად შეიცვალა.

დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრი, საიმპერიო მთავრობა, სოციალ-დემოკრატიული პარტია დადგნენ ახალი ფაქტის წინაშე—ეს არის რეაქციონური ბავარიის აშკარა წინააღმდეგობა.

გენერალმა ფონ-ლოსსოვმა საიმპერიო დიქტატორის ჰესლერის წარმომადგენელმა მიუნხენში, ნამდვილათ კი ფონ-კარის მეგობარმა (რაზედაც ჩვენ საალყო წესების გამოცხადების პირველ დღესვე მიუთითებდით) არ მოისურვა და არ დახურა ბავარიის ფაშისტების ორგანო „ფოლკიშერ ბეობახტერ“, რაც დავალებული ჰქონდა მას საიმპერიო მთავრობის მიერ. ბერლინიდან ხელმეორეთ მიღებულ ბრძანებაზე ფონ ლოსსოვმა საიმპერიო მთავრობას უპასუხა დაუშიფრავი დეპეშით, რომ ვერ მიმართავს რეპრესიულ ზომებს, რადგან ეს „დიდ აღშფოთებას გამოიწვევდა“.

ამის შემდეგ ლოსსოვმა მიიღო ბრძანება გადაყენების შესახებ, გადაყენებაზე უარი განაცხადა და მიიღო ბავარიის დიქტატორის ფონ-კარის მფარველობა. რათა კონფლიქტი არ გამწვავებულიყო, ჰესლერმა ეს აქტი ჩათვალა მხოლოდ როგორც ერთ-ერთი გენერალის ურჩობა. მაგრამ ფონ-კარმა გამოააშკარავა ის, რის დამალვას ცდილობდა ჰესლერი: მან ყოველგვარი ურთიერთობა შესწყვიტა რეიხსვერის მინისტრთან. ჰესლერს და ფონ სეკტს არაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ გადაეყენებინათ გენერალი ლოსსოვი.

ფონ-კარმა კი ბრძანება მისცა რეიხსვერის ნაწილებს დამორჩილებოდენ მხოლოდ ბავარიის მთავრობის ბრძანებებს, გენერალი ლოსსოვი კი დანიშნა ბავარიის რეიხსვერის უფროსად, ე. ი. თავის ოფიციალურ ხელქვეითად. ბავარია არ სცნობს ამიერიდან ბერლინის მთავრობას და წაართვა მას მისი შეიარაღებული ძალის ნაწილი, ბავარიის მთავრობამ ხელში ჩაიგდო აგრეთვე ოქროს მარაგი ნიურენბერგში.

ამ რიგად მდგომარეობა, რომელსაც მუშათა კლასი დიდი ხანია ხედავდა, ოფიციალურად აშკარა შეიქნა. ბავარიის რეაქცია გაბედულათ მიდის სამოქალაქო ომის გზით.

მისი აზრით ბავარიისა და გერმანიის ინტერესები ერთი და იგივეა (ფონკარის დეკლარაცია, 20 ოქტომბერს). ნაციონალურ მთლიანობას არავითარი ღირებულება არ აქვს, თუ ის არ წარმოადგენს რეაქციონურ მთლიანობას.

ამ რიგად: 1. გერმანიის მსხვილმა ბურჟუაზიამ, რომელიც მიილტვის თავისი დიქტატურის დამყარებისაკენ, პირველი მახვილი ჩასცა გერმანიის მთლიანობას; 2. ეს ბურჟუაზია იმდენათ ძლიერათ გრძნობს თავის თავს, რომ არავითარ დათმობაზე არ მიდის საშუალო კლასებთან და სოციალ-დემოკრატიასთან.

ახლო ხანში ის აპირებს ძალისათვის მიმართვას: ცენტრალური გერმანიის მუშათა კლასის გასრესას იარაღის საშუალებით.

რუსეთის ინტერვენცია და „თათრული ახალი ამბები“.

საქსონიის პროლეტარიატის წინააღმდეგობამ შეაფიქრიანა ბერლინის მინისტრები. გენერალ მიულერის ულტიმატუმს ცეიგნერმა ღირსეული პასუხი გასცა საქსონიის ლანდტაგში. ცეიგნერის მიერ შავი რეიხსვერის შესახებ გამოაშკარავებულმა ცნობებმა, ნაციონალური პარტიის პროცესმა ლეიპციგში ცხადჰყვეს ამ საიდუმლო არმიის არსებობა შავი გენერლების მეთაურობით. მრავალი თვეების განმავლობაში სტუდენტები იძენდენ სამხედრო ცოდნას კენიგსბერგის ბანაკში. ასეთივე ფაქტები გამოირკვა კიუსტრინში, სადაც მოხდა 7 პოლიტიკური მკვლელობა. შტრალზუნდი, ლიუბეკი—ეს „შავი სამხედრო რაზმების“ სხვა ცენტრებია. ასეთივე მდგომარეობაა პომერანიაში, სილეზიაში და მეკლენბურგში. ლეიპციგში 1,500 ახალგაზრდა „შავი რეიხსვერიდან“ ჩარიცხეს ოფიციალურ არმიაში. სხვა ცნობების გამოქვეყნება,—სთქვა ცეიგნერმა,—ზედმეტია. საფრანგეთმა ყველაფერი იცის ამის შესახებ,—დაუმატა მან.

ბატონი პუანკარეს მთავრობა, რასაკვირველია, არაფერ ცუდს არ ხედავს იმაში, რომ გერმანიის ბურჟუაზია იარაღს ისხამს პროლეტარიატის წინააღმდეგ.

საქსონიის ფინანსთა მინისტრმა კომუნისტმა ბეტხერმა მიიღო ზომები სიმშილობის წინააღმდეგ. სპეციალურად შეკრებილი ცნობებიდან გამოირკვა, რომ საქსონიის 700.000 მცხოვრები (მუშები, გლეხები, მოხელეები, პენსიონერები, ომში დაჭრილები), ე. ი. საქსონიის მცხოვრებთა ერთი მეშვიდედი ნაწილი საშინელ გაჭირვებას განიცდის. ბანკებმა და მრეწველებმა უარი უთხრეს მთავრობას გაჭირვებულთათვის ფართო დახმარების გაწევაში მონაწილეობის მიღებაზე. მაშინ ბეტხერმა მიმართა მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტს, რომელმაც დაუყოვნებლივ გადასცა საქსონიის მთავრობას 2000 ტონა ხორბალი; ბეტხერმა მოლაპარაკება გამართა აგრეთვე საბჭოთა მთავრობასთან და საქსონიის მუშები მოკლე ხნის განმავლობაში მიიღებენ საბჭოთა კავშირიდან მრეწველობის პროდუქტების ნაცვლად 20,000 ტონა ხორბალს.

ეს იქნება რუსეთის საბჭოების პირველი ინტერვენცია გერმანიაში, ინტერვენცია რუსეთის პურის სიმშილისა და ფაშიზმის წინააღმდეგ!

მუშური მთავრობის სიმტკიცით და ენერგიული ზომებით დამფრთხალი ბურჟუაზია თავის ძალების მობილიზაციას ახდენს მის წინააღმდეგ.

გაზეთები „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“, „ტაგ“, „ცაიტ“ და „ლოკალ ანცეიგერ“ საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლათ საქსონიაში სამხედრო მოქმედების დაწყებისთვის, ათავსებენ ფანტასტიურ ცნობებს „კომუნისტური ტერორის შესახებ სამრეწველო რაიონებში“.

რადიკალურმა ბურჟუაზიულმა პრესამ შესაფერი სახელი უწოდა ამ ცრუ ცნობებს და „თათრულ ახალ ამბებათ“ მონათლა ის. მიუხედავად ამისა ეს გაზეთები ამართლებენ საქსონიაში რეიხსვერის გაძლიერებას ახალი ნაწილებით. ფონ-კარმა დიპლომატიური ურთიერთობა შესწყვიტა დრეზდენთან და აკრძალა ბავარიიდან საქსონიაში რძისა და კარაქის შეტანა. სამხედრო სარდლობამ ბრესლაუში აკრძალა კარტოფილის შეტანა სილეზიიდან საქსონიაში.

გენერალი მიულერი თავის თავხედურ მანიფესტში აცხადებს, რომ ის დაიცავს საქსონიის თავისუფალ სახელმწიფოს კომუნისტებისათვის სასურველ ეკონომიური ქაოსის წინააღმდეგ“.

ხმები დადის, რომ საქსონიის მრეწველებს განზრახვა აქვთ სთხოვონ ბავარიის ფაშისტებს დაიცვან ისინი „წითელი ტერორისაგან“.

ჰიტლერის ნახვა

ერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა მუსოლინის რეკომენდაციით მოახერხა ჰიტლერის ნახვა. ხსენებულ ჟურნალისტის საუბარი გამოქვეყნებულია რუსულ და გერმანულ გაზეთებში.

ჰიტლერი ოცნებობს მუსოლინის როლის შესრულებაზე გერმანიაში. მის მთავარ შტაბს რამდენიმე შენობა უჭირავს მიუნხენში შელინგ შტრასეზე. ამავე ქუჩაზე მოთავსებულია გაზ. „ფოლკიშე ბეობახტერ“-ის რედაქცია.

ეს გაზეთი ჰიტლერის ოფიციალური ორგანოა. ჰიტლერის ავტომობილებს უჭირავთ ახლობელი გარაჟი.

ვინმე სტოლცინგი, „ფოლკიშე ბეობახტერ“-ის მთავარი რედაქტორი ასრულებს „სახელოვან“ პოლკოვნიკის პოლიტიკური მრჩეველის როლს. ეს სტოლცინგი, ბავარიელი, მოკლე ხნის წინათ ჩეხი იყო და ბოჰემიაში აწყობდა შევარდენთა სასპორტო საზოგადოებებს.

ამ სტოლცინგმა ინტერვიუს დროს შემდეგი განაცხადა ნაციონალ-სოციალისტების ბანდების პოლიტიკური განზრახვების შესახებ.

„რურში ჩვენთვის სასურველია აქტიური წინააღმდეგობა სისტემატიური საბოტაჟის და პარტიზანული ბრძოლის მოწყობის საშუალებით. ასეთი გზით ჩვენ შევქმნით არმიას იმ შემთხვევისათვის, რომ დაიწყოს ნამდვილი ომი.

— „უარმიოთ?“

ბ-ნმა სტოლცინგმა სიცილით უპასუხა:

„შემიძლია დაგარწმუნოთ თქვენ, რომ ჩვენ საკმაოთ მოგვეპოვება იარაღი, ჩვენ გვაკლია მხოლოდ ათასი ზარბაზანი, რომ შევქმნათ ნამდვილი არმია“.

„საგარეო პოლიტიკაში ჩვენ მიზნათ ვისახავთ ავსტრიისა და ბოჰემიის გერმანელების შემოერთებას იტალიის მიმართ ტიროლში დათმობებზე წავალთ, რადგან იტალია (ფაშისტური) ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა... არავითარი ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან“!

შინაურ პოლიტიკაში:

„ჩვენ მოვითხოვთ აქტივობას ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ გავსწევთ საბჭოთა საქსონიისა და ტიურინგიისაკენ, რომ ამოვფხვრათ იქ მარქსიზმი იმ საშუალებებით, რომლებიც ასე საუცხოვოდ მოიხმარა მუსოლინიმ“.

— თქვენი განზრახვები ახლო მომავლისათვის?

— „სამი კვირის შემდეგ გლეხები შესწყვეტენ სურსათის მიწოდებას გალიციისათვის. შტრეზემანის მთავრობა დაემხობა. კარი დაამთავრებს თავის როლს (ის არ არის დიქტატორი, ის მხოლოდ კარგი მოხელეა!) ყველა აქტიური ძალები ჰიტლერთან არიან. იმ დღეს, როცა ჩვენ გავილაშქრებთ საქსონიის წინააღმდეგ, ჩვენი მეგობრები პომერანიაში, მეკლენბურგში და პრუსიაში აფრიალებენ აჯანყების დროშას“.

ტრაბახობაა? საგარეო პოლიტიკაში კი, ამაში ყველა დარწმუნებულია. შინაურ პოლიტიკაში არა. კიუსტრინის ინციდენტი და ცეიგნერის მიერ შავი რეიხსვერის შესახებ გამოქვეყნებული ცნობები ადასტურებენ ამ განცხადებებს. ამას აცხადებს პოლიტიკური პარტია თავის მთავარ შტაბში, რომელსაც შეიარაღებული ძალები იცავენ.

იმ ხნის განმავლობაში, როცა ვითომდა მუსოლინის მიერ გამოგზავნილი ჟურნალისტი ესაუბრებოდა ჰიტლერის „მრჩეველს“, ჰიტლერი ხშირად ელაპარაკებოდა ტელეფონით ვიღაცას სამხედრო მასალების და იარაღის დამზადების შესახებ.

დიდი კოალიციის მთავრობას სურს პროლეტარული რაზმების განიარაღება საქსონიაში და ტიურინგიაში ჰიტლერის ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც რესპუბლიკას ემუქრებიან, ის კი არავითარ ზომებს არ იღებს იმიტომ, რომ მას არ შეუძლია არავითარ ზომებს მიმართოს, მას არ ჰყავს არავითარი ძალა ბავარიაში აგრეთვე იმიტომ, რომ კლასობრივი გრძნობა, რეაქციონური სულისკვეთება მიუთითებენ მას საფრთხეზე მუშების და არა ფაშისტების მხრივ.

ოფიციალური ცნობები მთავრობის სხდომების შესახებ გარკვევით ლაპარაკობენ... „მთავრობის წევრთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მუშათა რაზმები უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენენ, ვიდრე ნაციონალისტების ორგანიზაციები“.

რ. ალბერტ.

ბერლინი, 25 ოქტომბერი.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

ლიუდენდორფის და ჰიტლერის დაპატიმრება: მიუნხენიდან ატყობინებენ ბერლინს, რომ ბავარიაში დატუსაღებულია მონარქისტული გადატრიალების ხელმძღვანელი გენერალი ლიუდენდორფი და ჰიტლერი.

ბავარიის გადატრიალების გამოძახილი: საფრანგეთმა ოფიციალურად აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ ის ვერ მოითმენს გერმანიაში სამხედრო დიქტატურას.

ამერიკა აცხადებს, რომ ის გერმანიაში მხარს დაუჭერს დემოკრატიულ მთავრობას.

ტიურინგიის დაკავება: რეიხსვერმა სავსებით დაიკავა მთელი ტიურინგია. ქუჩებში გამართულია ტყვიისმფრქვეველები.

ახალი მთავრობის „ძებნაში“: შტრეზემანი განაგრძობს სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას საიმპერიო მთავრობის შედგენის შესახებ.

ლიუდენდორფის და ჰიტლერის დაპატიმრება

ლიუდენდორფი და ჰიტლერი დაპატიმრებულნი არიან

ბერლინი. 10 ნოემბ. გუშინ საღამოს ბერლინში მიღებული იყო ცნობა მიუნხენიდან იმის შესახებ, რომ ლიუდენდორფი და ჰიტლერი დაპატიმრებულნი არიან.

ჰიტლერის დაჭრა

პარიზი. 10 ნოემბ. ბრძოლის დროს, რომელიც სწარმოებდა სამხედრო სამინისტროს შენობის დასაპყრობათ, მსუბუქათ დაიჭრა ჰიტლერი.

ჰიტლერი გაიქცა.

ბერლინი. 10 ნოემბ. უკანასკნელ ცნობების თანახმათ, ლიუდენდორფი დაპატიმრებულია. დაჭრილი ჰიტლერი მიიმალა.

„საპატიო დაპატიმრება“

ბერლინი. 10 ნოემბ. დაპატიმრებული გენერალი ლიუდენდორფი სარგებლობს მისი ჩინისათვის ყველა შესაფერი პატივისცემით.

ლიუდენდორფს კიდევ იმედი აქვს

პარიზი. 10 ნოემბ. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ ლიუდენდორფმა განაცხადა: „მე ერთხელ კიდევ აღვმართავ შავ-თეთრ-წითელ დროშას მთელს გერმანიაზე და რეინის ოლქზე“.

როგორ მოხდა ბავარიაში გადატრიალება

ახალი დაწვრილებითი ცნობები

ბერლინი. 9 ნოემბ. დაწვრილებითი ცნობების მიხედვით, ბავარიის ამბები შემდეგ სახეს იღებენ:

ავანტიურისტების ფართო გეგმები

8 ნოემბერს, საღამოს, კარი გამოვიდა ერთ-ერთ მიტინგზე ვრცელი სიტყვით, რომელშიც ქადაგობდა მარქსიზმთან ბრძოლას უეცრად დარბაზში შემოიჭრა 600 ფაშისტი ჰიტლერის მეთაურობით, რომელმაც ბავარიის მთავრობა გადაყენებულად გამოაცხადა. ჰიტლერმა წინადადება მისცა კრებას აერჩია ლიუდენდორფი ბავარიის არმიის მთავარსარდლად, თავისი თავი—პოლიტიკურ კონსულტანტათ, გენერალი ლოსოვი—თავდაცვის მინისტრად და ცნობილი რეაქციონერი, მიუნხენის ყოფილი პოლიციპრეზიდენტი პოხნერი—ბავარიის რეგენტად. ფაშისტურმა რაზმებმა ალყა შემოარტყეს შენობას, რომელშიაც მიტინგი იყო გამართული. დამსწრეთა პროტესტების მიუხედავად, კნილინგი და შვეიერი დაპატიმრებულ იქნენ.

ჰიტლერმა წინადადება წამოაყენა აგრეთვე სრულიად იმპერიის მთავრობის შექმნის შესახებ. ჰიტლერის წინადადებით მთავრობის შემადგენლობა უნდა იქნეს შემდეგი: კარი—გერმანიის რეგენტი, ჰიტლერი—პოლიტიკური კონსულტანტი, ლიუდენდორფი—მთავარსარდალი, ლოსოვი—თავდაცვის მინისტრი და გენერალი ზეისერი—საზოგადო მშვიდობიანობის მინისტრი.

ჰიტლერმა განაცხადა: „სრული 5 წელია მას შემდეგ, რაც რევოლიუცია დაიწყო, დღეს კი იგი დამთავრდა. ჩვენ შევქმენით ნაციონალური მთავრობა და ნაციონალური არმია“.

ჰიტლერის სიტყვის შემდეგ კარმა, ლიუდენდორფმა და პოხნერმა განაცხადეს, რომ ისინი მზათ არიან ხელში აიღონ ძალა-უფლება. საბოლოო სიტყვაში ჰიტლერმა მოუწოდა მოქალაქეებს ბერლინზე გალაშქრებისაკენ.

ჰიტლერის სამხედრო კავშირებმა დაიკავეს ფოსტა, სახელმწიფო დაწესებულებები და გაზეთების რედაქციები. ქალაქში შუაღამემდე გრძელდებოდა გრანდიოზული ფაშისტური დემონსტრაციები. გამოირკვა, რომ ჰიტლერს და ლიუდენდორფს პირველათ განზრახული ჰქონდათ ბავარიის სახალხო პარტიის და სამშობლოს დაცვის კავშირების გამოყენება თავისი მიზნებისათვის. გადამწყვეტ წუთს ჰიტლერმა მუქარის საშუალებით მიიღო თანხმობა კარისაგან.

ბავარიის გადატრიალების გამოძახილი

მოკავშირეების ნოტა ყოფილ კრონპრინცის შესახებ.

პარიზი. 10 ნოემბ. გუშინ საღამოს გერმანიის წარმომადგენელს პარიზში გადაეცა მოკავშირეების ნოტა, რომელშიაც მოკავშირეები მოითხოვენ, რომ ყოფილ კრონპრინცს აეკრძალოს გერმანიაში დაბრუნება.

პუანკარეს უშინია ომის რევანშის.

ბერლინი. 10 ნოემბ. საფრანგეთმა ოფიციალურად აცნობა გერმანიის მთავრობას იმის შესახებ, რომ საფრანგეთი არ დაუშვებს, რომ გერმანიაში დამყარდეს სამხედრო დიქტატურა.

ამერიკაც წინააღმდეგია ნაციონალისტების დიქტატურის დამყარების გერმანიაში,

პარიზი. 10 ნოემბერი. ბერლინში ხმებია გავრცელებული იმის შესახებ, თითქოს ამერიკის მთავრობამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიაში გაუქმებული იქნება დემოკრატიული რეჟიმი, მაშინ ამერიკა უარს იტყვის დახმარება გაუწიოს გერმანიას.

საფრანგეთი ვერ „მოითმენს“.

რომი. 10 ნოემბერი. „ტან“-ი იტყობინება, რომ საფრანგეთის მთავრობამ წინადადება მისცა თავის წარმომადგენელს ბერლინში, რომ მან გააფრთხილოს გერმანიის მთავრობა იმის შესახებ, რომ საფრანგეთი ვერ მოითმენს დემოკრატიული რეჟიმის დამხობას გერმანიაში.

ბერლინი. 10 ნოემბერი. საფრანგეთის კაბინეტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არ დაუშვან გერმანიაში მემარჯვენე მთავრობის დაარსება, გამოტანილი იყო ჯერ კიდევ 8 ნოემბერს, რის შემდეგაც საფრანგეთის მთავრობამ მიიღო უკვე შესაფერი დიპლომატიური ნაბიჯები.

მუსოლინი თვალყურს ადევნებს.

რომი. 10 ნოემბერი. 8—9 ნოემბერს მთელი ღამე მუსოლინმა გაატარა გარეშე საქმეთა სამინისტროში, საიდანაც ელაპარაკებოდა იტალიის წარმომადგენლებს უცხოეთში და ურჩევდა მათ დამშვიდებულათ დაეცადათ მიუნხენის ამბების დასასრულისათვის და მზათ ყოფილიყვნენ ყოველ დროს იტალიის უფლებების და ინტერესების დასაცავად.

რაზედ ოცნებობენ ფაშისტები, როდესაც ძილი არ მოსდით.

რომი 10 ნოემბერი. გუშინ გაზეთი „ეპოკა“ (ფაშისტური ორგანო) წერილში გერმანიის ამბების შესახებ აღნიშნავდა, რომ ნაციონალისტური აჯანყება გერმანიაში ბოლოს მოუღებს ქვეყნის აუტანელ მდგომარეობას; გაზეთი წინასწარმეტყველობს, რომ გერმანიაში ჰიტლერის გამარჯვების უშუალო შედეგი იქნება მეფის მთავრობის აღდგენა რუსეთში და ავსტრიის შთანთქვა ავსტრო-ბავარიის კავშირის მიერ.

ეს ყველაფერი პუანკარეს პოლიტიკის შედეგია.

რომი. 10 ნოემბ. დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანიაში მილიტარისტული განწყობილების გაძლიერება შედეგია საფრანგეთის პოლიტიკის, რომლის დიპლომატიური წრეები უკმაყოფილო არიან პუანკარეს შეურიგებელი პოზიციით, რამაც გამოიწვია მიუნხენის აჯანყება, და ფიქრობენ განაცხადონ, რომ მოლაპარაკებას დაიწყებენ მხოლოდ გერმანიის დემოკრატიულ მთავრობასთან.

მონარქისტულ გადატრიალების გარშემო

შტრეზემანი ლაყბობას განაგრძობს.

ცნობა მიუნხენში მომხდარ გადატრიალების შესახებ შტრეზემანმა მიიღო ღამით. დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნა მთავრობის კრება სექტის თანადასწრებით. მთავრობამ გამოიმუშავა მოხსენება, რომელშიაც ნათქვამია: „შეიარაღებულმა ბანდებმა ჩამოაგდეს ბავარიის მთავრობა, დააპატიმრეს მთავრობის თავმჯდომარე—კნილინგი, შექმნეს სრულიად გერმანიის უკანონო მთავრობა და გერმანიის ბედ-იღბალი ჩააბარეს ლიუდენდორფს და ჰიტლერს.

ხელისუფლების უზურპატორების გადაწყვეტილებას არავითარი ძალა არა აქვს ჰიტლერის გამოსვლა—არის სახელმწიფოებრივი ღალატი.

გერმანიის მთავრობა დაუზოგავად ახდენს „პუტჩის“ ლიკვიდაციას“.

ჰესლერმა აკრძალა ცნობების გამოქვეყნება მიუნხენის ამბების შესახებ და ყოველგვარ კომენტარიების გარეშე თვალსაჩინო ადგილზე აკრავს კარის საპროგრამო სიტყვის ტექსტს, რომელიც მიმართულია მარქსიზმის წინააღმდეგ.

მემარჯვენე პარტიების ბერლინის ბელადებისათვის ჰიტლერის გამოსვლა სრულიად მოულოდნელი იყო.

აჯანყება ჩქარა იქნება ჩაქრობილი.

ბერლინი. 8 ნოემ. ვოლფის სააგენტოს ცნობით, მიუნხენის გამოსვლა ჩაქრობილათ უნდა ჩაითვალოს. ერთ-ერთი მთავარი წინამძღოლთაგანი—მიუნხენის პოლიციის უფროსი პოხნერი დაპატიმრებულია. მთავრობის ყველა შენობები კნილინგის მთავრობის ხელშია. ლიუდენდორფი და ჰიტლერი სამხედრო სამინისტროში ჩაიკეტენ.

რეიხსვერი კნილინგის მხარეზეა.

ბავარიის მთავრობამ მიმართა ბავარიის ხელისუფლებს მოწოდებით არ შეასრულონ იმ უზურპატორების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებანი, რომელნიც სახელმწიფოებრივ მოღალატეებათ ითვლებიან.

ჰესენის მთავრობამ გამოაქვეყნა მოწოდება მცხოვრებლებისადმი, რომელშიაც აცხადებს თავის ერთგულებას გერმანიის რესპუბლიკისადმი და იძლევა დაპირებას ხელი შეუწყოს მიუნხენის გამოსვლების ლიკვიდაციას.

პრუსიის მთავრობამ გამოაქვეყნა ანალოგიური მოწოდება. შეწყვეტილია სატელეფონო კავშირი ბერლინსა და ვეიმარს (ტიურინგია) შორის.

დაწვრილებითი ცნობები ბავარიაში მომხდარ გადატრიალების შესახებ.

ბერლინი. 8 ნოემბერი. მიუნხენში მომხდარ გადატრიალების შემდეგ, რომელიც მოწყობილი იყო ჰიტლერის მიერ, კარი გამოცხადებულია გერმანიის რეგენტათ, ლოსსოვი დანიშნა სამხედრო თავდაცვის მინისტრათ, ლიუდენდორფი—მთავარსარდლათ, ჰიტლერი—პოლიტიკურ კონსულტანტად.

გერმანიის მთავრობამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ბავარიის გადატრიალებას სთვლის სახელმწიფო ღალატათ. ებერტმა გენერალი სეკტი აღჭურვა სრული აღმასრულებელი ძალაუფლებით. დღეს კარმა და ლოსსოვმა განაცხადეს, რომ ისინი არ ემხრობიან ჰიტლერის გამოსვლას და რომ მათი გუშინდელი თანხმობა, გადატრიალებაში მონაწილეობის მიღების შესახებ, იძულებითი იყო.

ნიურნბერგის ბურგომისტრი იტყობინება, რომ კარი და ლოსსოვი გამოვიდენ ჰიტლერისა და ლიუდენდორფის წინააღმდეგ. კარმა ბრძანება გასცა დატუსაღებულ იქნენ ჰიტლერი, ლიუდენდორფი და სხვა ფაშისტური მეთაურები. ბამბერგში მოხდა ფაშისტების მასიური დაპატიმრება. რეიხსვერს და ბავარიის პოლიციას ბრძანება მიეცა გაილაშქრონ ჰიტლერისა და ლიუდენდორფის წინააღმდეგ.

ჩრდილოეთ ბავარიაში დაბანაკებულმა რეიხსვერის ნაწილებმა აცნობეს ბერლინში, რომ ისინი წინააღმდეგი არიან ჰიტლერის გამოსვლის, ჰიტლერი მოქმედობდა თვითნებურათ და არ შეუთანხმა თავისი მოქმედებები კარს. უკანასკნელი, ჰიტლერის მუქარის გამო, დათანხმდა მონაწილეობა მიეღო გადატრიალებაში, დღეს კი აშკარათ გაილაშქრა მის წინააღმდეგ.

ბავარიის პოლიციის უფროსი კარის მხარეზეა, ჰიტლერის წინააღმდეგ. ჰიტლერი და ლიუდენდორფი ჯერ კიდევ არ არიან დატუსაღებულნი და მათი ადგილმდებარეობა გამოურკვეველია.

საერთოდ, ჰიტლერის გამოსვლა გადაიქცა ბრძოლათ ბავარიის სახალხო პარტიასა (კარი და ლოსსოვი) და ფაშისტებს (ჰიტლერი და ლიუდენდორფი) შორის.

ცალ-ცალკე.

ბერლინი. 8 ნოემბ. მიუნხენში მთავრობის ყველა შენობები კარის ხელშია, სამხედრო სარდლობის შენობები კი დაკავებულია ჰიტლერის მომხრეების მიერ.

ბერლინში და საერთოდ მთელს გერმანიაში არავითარი გამოსვლა არ ყოფილა მემარჯვენეების მხრივ. ვიურტემბერგის მთავრობამ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია ჰიტლერის გამოსვლის.

„ახალი მთავრობის ძებნაში"

შტრეზემანი წინააღმდეგია პარლამენტის გარეშე დირექტორიის.

ბერლინი 8 ნოემბერი. შტრეზემანის „ცაიტი" ხაზს უსვამს იმას, რომ შტრეზემანი წინააღმდეგია ნაციონალისტების გეგმის, რომელთაც უნდათ ლეგალურათ შექმნან პარლამენტის გარეშე დირექტორია.

ვირტი მარტო დარჩა.

ბერლინი 8 ნოემბერი. გერმანიის მინისტრები—ცენტრის წარმომადგენლები, ბრაუნი და ლიუტერი ემხრობიან შტრეზემანის მთავრობის მემარჯვენე ორიენტაციას; ცენტრის მემარცხენე ფრთა, რომელსაც მეთაურობს ვირტი, განმარტოებული რჩება.

მრავალ დაპირებების მომცემი პროგრამა.

ბერლინი. 8 ნოემ. განზრახულ მემარჯვენე მთავრობის პროგრამა მდგომარეობს შემდეგში: ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ, სოც.-დემოკრატების გაძევება ადგილობრივ მთავრობებიდან, სოციალ-დემოკრატ მოხელეების დათხოვნა, საერთო სამხედრო ბეგარის შემოღება, განხეთქილების ჩამოგდება საფრანგეთთან.

მენშევიკები პროტესტს არ აცხადებენ

ბერლინი. 8 ნოემბერი. თუმცა სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია დარჩეს ნეიტრალური, შტრეზემანის მთავრობის მემარჯვენე მიმდინარეობის გაძლიერების გამო, მაგრამ, ის, როგორც სჩანს, წინააღმდეგი არ არის იმისა, რომ დაარსდეს მემარჯვენე მთავრობა, რადგან სოციალ-დემოკრატიას იმედი აქვს, რომ ეს მთავრობა ვერ იქნება ხანგრძლივი.

მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის

გლეხთა არალეგალური ყრილობა.

ბერლინი 8 ნოემბერი. ჰეტტინგენში შესდგა გლეხთა არალეგალური ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ ვიურტემბერგის, ბავარიის, ბადენის და ჰესსენის წარმომადგენლები. ყრილობამ აზრი გამოსთქვა, რომ დაარსებულ იქნეს მუშათა და გლეხთა მთავრობა და დაადგინა დახმარება გაუწიოს სურსათით პროლეტარიატს იმ შემთხვევაში, თუ ის ხელში ჩაიგდებს ძალა-უფლებას.

შტრეზემანის მთავრობის წინააღმდეგ

მემარჯვენეებს განზრახული აქვთ საკუთარი მთავრობის შექმნა.

ბერლინი. 8 ნოემბერი. მემარჯვენე პარტიების მიერ თავისი მთავრობის ლეგალურათ შექმნის განზრახვა დღითი დღე უფრო აშკარა ხდება. ჰერგტმა შტრეზემანთან მოლაპარაკების დროს წამოაყენა ნაციონალისტების მოთხოვნა ებერტ-შტრეზემანის გადადგომის შესახებ. მან განაცხადა, რომ ახეთი მთავრობის შექმნას მოითხოვენ სამრეწველო წრეები, აგრარიები და რეიხსვერი, რომლებიც არ შეჩერდებიან უკიდურეს შემთხვევაში შტრეზემანის ძალდატანებითი გადაყენების წინ.

ნაციონალისტების უმრავლესობა ჰელფერიხის და ჰერგტის მეთაურობით ხელისუფლების ლეგალურათ ხელში ჩაგდებას მოითხოვს; უმცირესობა კი, რომელიც თანაუგრძნობს სახალხო თავისუფლების ტევტონურ პარტიას და რომელსაც ხელმძღვანელობენ ვესტარპი და შულცე, ნაციონალურ დიქტატურის შექმნას მოითხოვს.

აშკარა ბოიკოტი შტრეზემანს.

ბერლინი. 8 ნოემბერი. მემარჯვენე პარტიები აშკარა ბოიკოტს უცხადებენ შტრეზემანს. იმპერიის აგრარული კავშირი უნდობლობას უცხადებს მთავრობას და აგრარიებზე დამყარებულ ნაციონალისტურ მთავრობის შექმნას მოითხოვს. ბავარიის სახალხო პარტიის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა თავის საპარლამენტო ფრაქციას თავი შეიკავოს შტრეზემანის მთავრობასთან ყოველგვარ თანამშრომლობისაგან. შტრეზემანის იმედები, კნილინგისა და ბავარიის სახალხო პარტიის დახმარებით ბავარიასთან კონფლიქტის მოგვარებაზე, არ გამართლდა. ნაციონალისტების წინადადება, რომ კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შესწორება ცალკე სახელმწიფოთა ავტონომიის უფლებების გაფართოვების შესახებ, ამტკიცებს, რომ ნაციონალისტებსა და კარის შორის უთანხმოება არ არსებობს.

იუდა ისკარიოტელები

სოციალ-დემოკრატია—კონტრ-რევოლიუციის მოკავშირეა.

ბერლინი 8 ნოემბერი. თავის ორგანო „კორესპონდენციაში" მემარცხენე სოციალ დემოკრატი პაულ ლევი აღნიშნავს, რომ კონტრ-რევოლიუციას საქსონიის წინააღმდეგ გამოსვლის დროს ჰყავდა ერთგული მოკავშირეები სოციალ დემოკრატების ბელადების სახით. ლევი აღნიშნავს, რომ კომპარტიის ცეკა და საქსონიის კომუნისტები უკანასკნელ მომენტამდე ცდილობდენ კეთილსინდისიერად ეთანამშრომლათ საქსონიის სოციალ დემოკრატიასთან. კომუნისტების მოწოდების გამო, რომელიც იყო საბაბი ცეიგნერის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლისა, ლევი შენიშნავს, რომ არც ერთი სოციალისტ-მუშას არ შეეძლო უარეყო მოწოდების ძირითადი პრინციპები.

პროფკავშირების განახლებისათვის

კომუნისტები დახმარებას უწევენ კავშირებს.

ბერლინი. 7 ნოემბ. პროფკავშირების კრიტიკულ მდგომარეობის გამო, კომუნისტური პარტია კისრულობს დახმარება გაუწიოს კავშირებს. კვირას ვეიმარში შესდგება მთელს ვიურტემბერგის, ვეინფელდის და მანფელდის პროფორგანიზაციების კონფერენცია, რომელზედაც განხილულ იქნება კომუნისტების წინადადებები.

მოსალოდნელ კონფერენციის გამო, კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მუშათა მოძრაობის გამყიდველ მეთაურების ულაჯობის გამო, პროფკავშირები ჩავარდენ კრიტიკულ მდგომარეობაში. მუშები, რომელთაც დაკარგეს სოციალ დემოკრატიულ გამყიდველ მეთაურების იმედი, სტოვებენ პროფკავშირებს. პროფკავშირების ამ მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით, კომუნისტები წინადადებას იძლევიან მოწვეულ იქნას პროფკავშირების საგანგებო ყრილობა იმის გამო, რომ პროფკავშირების სრულიად გერმანიის გაერთიანებამ უარი განაცხადა ასეთ ყრილობის მოწვევაზე, კონფერენცია თვითონ აირჩევს პროფკავშირების დროებით პრეზიდიუმს, რომელიც მოიწვევს კონგრესს; კონფერენცია სრულიად უარჰყოფს რეფორმისტულ პოლიტიკას, ის სდგება კლასიურ ბრძოლის ნიადაგზე და პროფკავშირები გარდაქმნილი იქნებიან საწარმოო კავშირებათ.

მოწოდება მოუხმობს მუშებს იბრძოლონ განხეთქილების წინააღმდეგ პროფმოძრაობაში. **მრავალი ადგილობრივი ორგანიზაციები, მათ რიცხვში მთელი რიგი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებისა, მხარს უჭერენ კომუნისტების წინადადებას.**

მთავრობის „ზომები"

რეიხსვერის თანამშრომლობა პოლიციასთან.

ბერლინი. 8 ნოემბერი. საქსონიის რეიხსვერის სარდალმა მიულერმა გადააყენა საქსონიის პოლიციის უფროსი—სოც.-დემოკრატი ჰაუფე იმის გამო, რომ მისი მოქმედება ართულებს რეიხსვერის თანამშრომლობას პოლიციასთან.

მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი უარყოფილ იქნა.

ბერლინი. 8 ნოემბერი. ფელიშის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმის კენჭის ყრის დროს ხმები თანასწორად გაიყო: სოციალ დემოკრატების და დემოკრატების 48 ხმა იყო უნდობლობის ვოტუმის წინააღმდეგ და ეროვნული პარტიის, სახალხო პარტიის და კომუნისტების 48 ხმა მომხრე იყო ამ ვოტუმის. ამგვარად უნდობლობის ვოტუმი უარყოფილ იქნა.

წინადადება კანცლერისათვის ნდობის გამოცხადების ვოტუმის შესახებ, ჯერ-ჯერობით შეტანილი არ არის. კომუნისტებმა განაცხადეს, რომ სოციალ-დემოკრატები ვერ ბედავენ ნდობის ვოტუმის შეტანას, ვინაიდან იციან, რომ იგი უარყოფილი იქნება.

ადგილები უნდობლობას უცხადებენ ცენტრს.

ბერლინი. 8 ნოემ. სოციალ დემოკრატიულ პარტიის ხემნიცის ორგანიზაციამ უნდობლობა გამოუცხადა პარტიის ცეკას და მოითხოვს პარტიულ ყრილობის მოწვევას.

ბადენის ახალი პრეზიდენტი.

ბერლინი. 8 ნოემ. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადამდგარ სოციალ-დემოკრატ რემელეს მაგიერ პრეზიდენტათ არჩეულია ცენტრის პარტიის წევრი—კელერი.

უცხოელთა გადასახლება.

ბერლინი 8 ნოემბერი. ბერლინის მაგისტრატში ნაციონალისტებმა შეიტანეს სასწრაფო წინადადება, გადასახლებულ იქნან ომის გამოცხადების შემდეგ ჩამოსული ყველა უცხოელები საკონცენტრაციო ლაგერებში მათი წინასწარი დაპატიმრების შემდეგ.

შველას ეძებენ.

ბერლინი. 8 ნოემბერი. მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა ძალაში შეიყვანოს კანონი უცხოეთის ვალიუტის ჩამორთმევის შესახებ და შემოსულ ვალიუტიდან შეადგინოს პურის ფონდი. ფონდი უნდა შესდგეს 25 მილიონი ოქროს მარკიდან. ის პირები, რომლებსაც ჩამოერთმევა ვალიუტა, ახალი ოქროს სესხს მიიღებენ.

მთავრობამ დაადგინა აგრეთვე შაქრის გატანის თავისუფლების შემოღება. შაქრის გატანისაგან მიღებულ ფულიდან უნდა შესდგეს 80 მილიონი ოქროს მარკიანი ფონდი პურისა და ცხიმების შესასყიდათ.

ბირჟის გაზეთი „ბერლინერ კურიერი" წინადადებას იძლევა კონფისკაცია ეყოს საეკლესიო ძვირფას ნივთებს.

ტიურინგიის დაკავება

რეიხსვერის მიერ ტიურინგიის დაკავება.

ბერლინი 8 ნოემბერი. ტიურინგიის ლანდტაგის დეპუტატები სასწრაფოდ იქნენ გაწვეულნი ვეიმარში.

ვეიმარში რეიხსვერს აქვს ყოველგვარი საომარი საშუალება. მოედანი ლანდტაგის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ დაკავებულია ტყვიის მფრქვეველი რაზმით. რეიხსვერის ოფიცერმა აცნობა პრემიერ ფროლიხს, რომ მოსალოდნელია ახალი ნაწილების ჩასვლა. გენერალ გონსემ მიიღო ჯარების ალუმი.

საკონტრიბუციო საკითხის გარშემო

საკონტრიბუციო მიწოდებების დროებითი შეწყვეტა.

ვენა. 8 ნოემბ. გერმანიის ელჩმა ბელგრადში აცნობა სამხრეთ-სლავიის მთავრობას იმის შესახებ, რომ გერმანია დროებით სწყვეტს კონტრიბუციის მიწოდებას ნატურით სამხრეთ-სლავიისათვის, გერმანიის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობის გამო.

პოლონეთის ამბები

კრაკოვის აჯანყების დასასრული.

ვარშავა. 8 ნოემბერი. კრაკოვში აჯანყება დამთავრდა. მუშებმა დააბრუნეს იარაღი და დაიწყეს მუშაობა. გაფიცული არიან მხოლოთ რკინისგზელები.

უკანასკნელი გამოანგარიშებით, აჯანყების დროს მოკლულია 50, ხოლო დაჭრილია 500 ზე მეტი. მუშებმა აჯანყების დროს ფაბრიკებში დააყენეს შეიარაღებული რაზმები ფაბრიკების ხელში ჩასაგდებათ. „პეპესკელები" მიტინგებზე მოუწოდებენ გაფიცვის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციისაკენ. კომუნისტები მოითხოვენ გაფიცვის გაგრძელებას მთავრობის სრულ დამარცხებამდე. გაფიცული რკინისგზელები „პეპესკელების" ორატორებს მტრულათ ხვდებიან.

პოლონეთის სოციალისტური პარტია, რომელმაც ჩაშალა საყოველთაო გაფიცვა, კმაყოფილდება სეიმში ინტერპელიაციის შეტანით, რომელიც მოითხოვს მთავრობის გადადგომას.

კრაკოვის მუშების წინააღმდეგ.

ვარშავა. 8 ნოემბერი. „გაზეტა ვარშავსკა" გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ვიტოსის პირველი დაპირებები არ ხდის ვალდებულათ მთავრობას გამოაცხადოს ამნისტია კრაკოვის აჯანყების მონაწილე მუშების მიმართ. მემარჯვენე პრესამ დაიწყო კამპანია კრაკოვის მუშების წინააღმდეგ მთავრობა ემზადება მათ საწინააღმდეგოთ.

რუსეთი და საფრანგეთი

სავაჭრო დამოკიდებულების სარგებლობა აშკარაა ორივე მხარისათვის.

მოსკოვი. 9 ნოემბ. მოსკოვში მყოფ ცნობილ ფრანგ ეკონომისტს, პროფესორ შარლ ჟიდს საუბარი ჰქონდა „როსტა"-ს თანამშრომელთან კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ რეგულიარულ ურთიერთ დამოკიდებულებათა აღდგენის საქმეში რუსეთისა და საფრანგეთის შორის. შარლ ჟიდმა განაცხადა: სავაჭრო დამოკიდებულებათა სარგებლიანობა აშკარაა: რუსეთს შეეძლო მიეცა საფრანგეთისათვის პური, ნავთი და სხვა პროდუქტები, საფრანგეთს—ლითონები და ლითონის ნაწარმოებები. საფრანგეთის კოოპერატორები რომ დაიწყებდენ კამპანიას საფრანგეთისა და რუსეთის დაახლოვების სასარგებლოთ,—ეს მეტათ წინ წასწევდა ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენის საქმეს. საფრანგეთის კოოპერაცია მეტათ სუსტათ აწარმოებს მუშაობას ამ მხრივ. **როცა დავბრუნდები საფრანგეთში, მე კიდევ უფრო მხურვალე აგიტაციას გავწევ ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენის სასარგებლოთ რუსეთსა და საფრანგეთს შორის.**

სხვადასხვა

ინგლისი

ემზადებიან საყოველთაო არჩევნებისათვის.

ლონდონი 8 ნოემბერი. ხაზინის კანცლერის ჩემბერლენის განცხადებით, ინგლისის მთავრობა სერიოზულათ იხილავს საყოველთაო არჩევნების საკითხს. მუშათა პარტიამ და ლიბერალებმა უკვე დაიწყეს კამპანია პროტექციონიზმის წინააღმდეგ. ასკვიტმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ პროტექციონიზმი ხელს უშლის ექსპორტის განვითარებას და აფართოებს უმუშევრობას.

საფრანგეთი

საერთო ბრძოლა საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ

პარიზი. 7 ნოემბერი. **საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ბრძოლა მატეუს და ნიკოლის შეწყნარებისათვის უნდა იქცეს საერთო ბრძოლათ საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ.**

იაპონია

ნიადაგის რყევა.

ტოკიო. 7 ნოემბერი. 5 ნოემბერს ქალაქ ოდუტცუში ადგილი ჰქონდა ნიადაგის ძლიერ რყევას, რომელიც 6 წუთით გაგრძელდა. მიწის რყევამ შიში გამოიწვია მცხოვრებთა შორის. ნივთიერი ზარალი ჯერ გამოურკვეველია.

ინდოეთი

ბოიკოტი ინდოეთის ვიცე-კოროლს.

ქაბული. 8 ნოემბერი. ალაჰაბადის ქალაქის საბჭომ დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადოს ვიცე-კოროლის მოსვლას.

უცხოეთის ცხოვრება

ნანსენი საბჭოთა რუსეთის შესახებ.

თავის ახალ წიგნში რუსეთის შესახებ „რუსეთი და მსოფლიო" დოქტორი ნანსენი, როგორც „მანჩესტერ გარდიენი" იუწყება, მიდის იმ დასკვნამდე, რომ რუსეთი თუმცა ჯერ კიდევ ავადაა, მაგრამ უკვე შესდგა გამომრთელების გზაზე. „მთელმა ევროპამ ყოველი ძალ ღონით უნდა გაუწიოს მას დახმარება საკუთარი ინტერესების მიხედვით".

დოქტორი ნანსენი მოუთხრობს იმის შესახებ, რომ რუსეთს სურს მთელი თავისი ძალები და რესურსები მოახმაროს თავისი აღორძინების საქმეს, რომ მას სურს შეამციროს თავისი არმია, მაგრამ არ შეუძლია ჯერ, ამის ჩადენა, რადგან მის გარშემო იმყოფებიან შეიარაღებული მტრები, რომ მისი ინდუსტრია და ტრანსპორტი, თუმცა ძალიან ნელა, მაგრამ მაინც აღორძინების გზაზეა დამდგარი.

დოქტორ ნანსენს მოჰყავს სტატისტიკური ცნობები იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთმა შესძლო თავისი თავისათვის დახმარების გაწევა: 1542 რკინისგზის შტო სავსებით აღდგენილია; 2.090 დროებით შეკეთებულია; დონის ნახშირის აუზი იძლევა 97 პროცენტს იმის, რასაც იგი 1913 წ. იძლეოდა; საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია, რომელიც 1920 წ. მხოლოდ 20 პროცენტს უდრიდა 1913 წელთან შედარებით, 1922 წ. სექტემბერში შეადგენდა უკვე 64 პროცენტს. ნანსენი მხარს უჭერს იმას, რომ საჭიროა ევროპამ დახმარება გაუწიოს რუსეთს კრედიტით, რომელიც მისი აზრით, უკვე სავსებით უზრუნველყოფილია რუსეთში და სულ ახლო მომავალში გამოიღებს სასურველ ნაყოფს. განსაკუთრებული თავგამოდებით დ—რი ნანსენი მხარს უჭერს რუსეთის ხალხის და მისი „დიდი და უკვდავი სულის" შესწავლას.

საბჭოთა არჩევნებისათვის

ინსტრუქცია

ქ. ტფილისის და მისი მაზრის მუშათა, წითელ-არმიელთა და გლეხთა დეპუტატების გადასარჩევად

1. ქ. ტფილისის და მისი მაზრის მუშათა, წითელარმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ყველა ქვემოდ ჩამოთვლილი მოქალაქენი, მიუხედავად სქესისა, მუდმივი ბინადრობის, ქვეშევრდომობის, ეროვნების, სარწმუნოების და სხ., რომელთაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 18 წელი.

ა) ყველა ისინი, რომელნიც თავს ირჩენენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომით, როგორც მაგალითად: მუშები და მოსამსახურეები ყოველგვარ სახისა და კატეგორიისა, რომელნიც მუშაობენ სამრეწველო სავაჭრო დაწესებულებებში, სასოფლო მეურნეობაში, შინა-მრეწველნი (რომელნიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან), მუშათა არტელების წევრნი, პროფკავშირთა უმუშევარნი წევრები.

ბ) წითელარმიელები და სამხედრო მოსამსახურეები, რომელნიც იმყოფებიან საგარნიზონო სამსახურში და მუდმივ სცხოვრობენ ქ. ტფილისში და მის მაზრაში.

გ) ის მოქალაქენი, რომელნიც ეკუთვნიან ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს და რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი, დასახიჩრებული მეომრები და სხვ.

დ) ის მუშათა ოჯახები, რომელნიც მუშაობენ წარმოებებში.

ე) უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლენი.

2 ვერ აირჩევენ და არც შეუძლიათ არჩეულ იქნენ, თუნდაც ეკუთვნოდენ რომელიმე ზემოჩამოთვლილ კატეგორიას:

ა) ის პირნი, რომელნიც მიმართავენ დაქირავებულ შრომას, მოგების მიზნით.

ბ) ის პირნი, რომელნიც სცხოვრობენ არა შრომის შემოსავლით (როგორიცაა მაგალითად კაპიტალის პროცენტებით, წარმოებათა შემოსავლით, ქონების შემოსავლით და სხვა...)

გ) კერძო მოვაჭრენი და სავაჭრო-საკომერციო შუამავლები.

დ) ბერები, საეკლესიო და სარწმუნოებრივ კულტების სასულიერო მოსამსახურენი.

ე) ყოფილი მეფის პოლიციის, დამცველ განყოფილებათა და ჩამოგდებულ მთავრობის ყოფილ განსაკუთრებულ რაზმის მოსამსახურენი და აგენტები.

ვ) ის პირნი, რომელნიც სათანადო წესით ცნობილნი არიან სულით ავადმყოფებად, ან ჭკუაზე შეშლილნი და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც ვისიმე მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

ზ) ის პირნი, რომელნიც გასამართლებულნი არიან ანგარებითი და სამარცხვინო ბოროტმოქმედებისათვის და მიენიჭათ სასჯელი კანონით, ან სასამართლოს განაჩენით.

3. ტფილისის მუშათა, წითელარმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოში წარმომადგენლობის ნორმა შემდეგია:

ყოველ 150 ამომრჩეველზე—ერთი დელეგატი.

შენიშვნა: 1. თუ წარმოებაში, ფაბრიკაში, ქარხანაში, სახელოსნოში და სხ... ამომრჩეველთა რიცხვი 150 კაცს აღემატება, მაგრამ არა ნაკლებ 75 კაცით, მაშინ ისინი ირჩევენ ტფილისის საბჭოში დამატებით კიდევ ერთ დეპუტატს.

2. წარმოებები და სამხედრო ნაწილები, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 150 კაცს არ აღწევს, ერთდებიან და ერთად ირჩევენ დეპუტატებს.

3. იქ, სადაც გაერთიანება მაინც არ იძლევა 150 დელეგატს, (მაგალ. 77, 90, 100) ამომრჩევლები რაოდენობის მიხედვით აგზავნიან ტფილისის საბჭოში ერთ წარმომადგენელს.

4. საბჭოთა და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეების შორის არჩევნები სწარმოებს საზოგადო კრებებზე, რომელთაც მართავენ პროფესიონალური კავშირები (მაგალითად, საბჭოთა მოსამსახურეების კავშირი და სხ...) წარმომადგენლობის ნორმა 150 გამოცხადებულზე ირჩევენ 1 დელეგატს.

5. მუშათა ოჯახებისათვის წარმომადგენლობის ნორმა 150 შეკრებილ წევრთაგან—1 დელეგატი.

6. უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლენი ირჩევენ შემდეგი ნორმით —300 შეკრებილი 1 დელეგატს.

7. შინამრეწველები—300 შეკრებილი 1 დელეგატს.

8. უმუშევრები—კავშირის წევრები: 150 შეკრებილზე—1 დელეგატს.

9. ინვალიდები: 300 შეკრებილზე 1 დელეგატს.

10. ტფილისის მაზრაში არჩევნები მიმდინარეობს თანახმად საბჭოების, ყრილობების და აღმასკომის არჩევნების შესახებ დებულებისა.

4. დეპუტატების არჩევნები სწარმოებს საზოგადო კრებებზე:

ა) მუშები, მოსამსახურეები, რკინისგზელები და სხ. სამრეწველო სავაჭრო წარმოებებში (ფაბრიკებისა, ქარხნების, სამრეწველოების, სახელოსნოების) და სამსახურში.

ბ) წითელარმიელები ბრიგადებსა, პოლკებსა, ცალკე კომანდასა და ბატალიონებში (საბჭოს ხელახალი არჩევნების საგარნიზონო კომისიის ჩვენებით).

გ) საბჭოთა მოსამსახურენი, წვრილ მრეწველობის მუშები, შინა მოსამსახურეები და სხვები სათანადო პროფკავშირების მიერ გამართულ საერთო კრებებზე.

დ) მუშათა ოჯახები რაიონებში გამართულ საზოგადო კრებებზე.

უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები—სტუდენტთა საზოგადო საერთო კრებებზე.

ვ) შინა მრეწველები—ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ მოწვეულ საზოგადო საერთო კრებებზე.

ზ) უმუშევრები—სათანადო პროფკავშირების მიერ მოწვეულ საერთო კრებებზე.

თ) ინვალიდები—ინვალიდების საზოგადო კრებებზე.

5. არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად არსდება ცენტრალური, სარაიონო და საგარნიზონო-საარჩევნო კომისიები, მუშათა რაიონებისა და წითელარმიისათვის, აგრეთვე სარაიონო კომისიები ტფილისის მაზრის საბჭოთა გადასარჩევად.

6. საარჩევნო კომისიები არსდებიან:

ა) რაიონული—სამი პირისაგან.

ბ) საგარნიზონო—სამი პირისაგან.

შენიშვნა—ქ. ტფილისი იყოფა ოთხ საარჩევნო უბნად, ტფილისის მაზრა იყოფა რაიონებათ საარჩევნო კომისიის ჩვენებით.

7. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობს ყველა არჩევნებს, უშვებს ინსტრუქციებს, ნიშნავს არჩევნების ვადას და დღეს, ამტკიცებს ან უარყოფს არჩევნების წარმოებას, იხილავს განცხადებებს და პროტესტებს, იძლევა დროებით მანდატებს, ადგენს საარჩევნო კრებების ოქმების ფორმებს და არჩევნების დამთავრებისას აწვდის ყველა მასალებს საბჭოს მიერ არჩეულ სამანდატო კომისიას.

8. რაიონული და საგარნიზონო საარჩევნო კომისიები ხელმძღვანელობას უწევენ არჩევნებს ადგილობრივ, წინასწარ არკვევენ თვითეულ წარმოებაში, სამხედრო ნაწილში, ამომრჩევლების რაოდენობას, ხელმძღვანელობენ მუშების, მოსამსახურეების და სხვ. გაერთიანებას შეერთებულ არჩევნებისათვის, ადგენენ საარჩევნო კრებების ოქმებს და თავიანთი დასკვნით გზავნიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

9 დეპუტატების არჩევნები ხდება საარჩევნო კომისიის, ან მის რწმუნებულის დასწრებით.

10. დეპუტატების არჩევნები ხდება საჯაროთ საზოგადო კრებებზე ხელის უბრალო აწევით.

11. არჩევნების შედეგების შესახებ სდგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საარჩევნო კომისიის წევრი, ან მისი რწმუნებული და საარჩევნო კრების პრეზიდიუმი.

12 არჩევნების დროს მუშაობის წარმოება სწყდება იმ შემთხვევის გარდა, თუ მუშაობის შეჩერება ტექნიკურ მოსაზრებით შეუძლებელია.

13. საარჩევნო კრება არის კანონიერი და სრულუფლებიანი, თუ მასზე მონაწილეობას ღებულობს ამომრჩევნების საერთო რაოდენობის არა ნაკლები ორი მესამედისა.

14. თუ დაწესებული ქვორუმი არ შესდგება, მოწვეული იქნება განმეორებითი კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

15. ცენტრალური საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები:

1) ივანოვ-კავკაზსკი—(თავმჯდომარე), 2) ყურულაშვილი, 3) სუხიშვილი, 4) მესხი, 5) თალაკვაძე, 6) დვორიანოვი, 7) ფედიაევსკი, 8) გაბუნია, 9) ლომიძე.

16. საგარნიზონო საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები:

1) დვორიანოვი (თავმჯდომარე), 2) ბორ-რამენსკი, 3) თალაკვაძე.

17 პირველ რაიონის საარჩევნო კომისიაში შედიან:

1) ქავთარაძე, 2) გოლდბაუმი, 3) ვაშაკიძე

18. მეორე რაიონის საარჩევნო კომისიაში შედიან ამხ. ამხ.

1) მაშკევიჩი, 2) ლალიძე, 3) ლოვშიც.

19. მესამე რაიონის საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები:

1) ვართაპეტოვი, 2) ალი-ტაგიზადე, 3) ფირალოვი.

20. მეოთხე რაიონის კომისიაში შედიან ამხ. ამხ.

1) ხაცკევიჩი, 2) მორჩილაძე, გედენი.

ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია ტფილისის აღმასკომის შენობაში.

ტფილისის საბჭოს თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

საქმეთა მმართველი, პრეზ წევრი **მესხი.**

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საწვრიმალო საგანთა ფასების ზრდის შემცირება.

მოსკოვი. 9 ნოემბერი. ოქტომბრის თვის უკანასკნელ მეათედში საწვრიმალო საგანთა ფასების ზრდა მოსკოვში შემცირდა, მოსკოვის დიდი ინდექსი თვის უკანასკნელ მესამედში აიწია მხოლოთ 18 პროც.-ით მაშინ, როდესაც პირველ მესამედში ინდექსი 30 პროც.-ით გაიზარდა.

მოხსენება „ცენტროსოიუზ"-ის მუშაობის შესახებ.

მოსკოვი. 9 ნოემბერი. „ცენტროსოიუზ"-ის რწმუნებულთა პირველ საქმიან სხდომაზე ამხ. ხინჩუკმა თავის მოხსენებაში „ცენტროსოიუზ"-ის მუშაობის შესახებ აღნიშნა, რომ „ცენტროსოიუზ"-ის საექსპორტო-იმპორტო ოპერაციები დღითი დღე ვითარდება. „ცენტროსოიუზ"-ის მდგომარეობა საზღვარგარეთ თვალსაჩინოთ განმტკიცდა, მისი საქმიანი დამოკიდებულებები იზრდება. მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში „ცენტროსოიუზ"-ის ექსპორტი 1.400 000 გირვ. სტერლ. აღემატა, იმპორტი—278 000 გირ. სტერლინგს. ამავე დროს იზრდება „ცენტროსოიუზ"-ის ოპერაციები რუსეთის ფარგლებშიაც.

7 საათის სამუშაო დღე თამბაქოს წარმოებაში

მოსკოვი. 10 ნოემბ. **შრომის სახალხო კომისარიატმა თამბაქოს (მახორკის) ქარხნებში დააწესა 7 საათის სამუშაო დღე.**

ჩვენი პური საზღვარგარეთ.

მოსკოვი. 10 ნოემბ. პურის ექსპორტის სამმართველომ კამპანიის დაწყებიდან საზღვარგარეთ გაყიდა 44 მილ. ფუთი პური. უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ჩვენმა სავაჭრო წარმომადგენლობამ გაყიდა გერმანიაში 1.198 000 ფუთი პური, დანიაში—109.000 ფუთი.

ნახშირის ამოღება დონის აუზში

ბახმუტი. 10 ნოემბ. **დონის აუზში ოქტომბრის განმავლობაში ამოღებულია 44 მილ. ფუთი ნახშირი, დავალების 126 პროც.**

გემ „პეტრე ბერგის" საქმე.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. უმაღლეს სასამართლოში გაირჩა ჩვენი გემის „პეტრე ბერგ"-ის საქმე; ეს გემი 1918 წელში წაყვანილი იყო გერმანიაში, სადაც მას გამოუცვალეს სახელი და დაარქვეს „მერკური", მიმდინარე წლის ზაფხულზე „მერკური" გერმანიის დროშის ქვეშ მოვიდა არხანგელსკში და იქ დატუსაღებულ იქნა ჩვენი ხელისუფლების მიერ. გერმანიის ქვეშევრდომმა შმიდტმა საჩივარი შეიტანა იმის შესახებ, თითქოს, გემი უკანონოთ იყო დატუსაღებული. არხანგელსკის საგუბერნიო სასამართლომ, რომელმაც „მერკური" იცნო რუსეთის ეროვნულ საკუთრებათ, შმიდტს უარი უთხრა დაკმაყოფილებაზე, შმიდტის საკასაციო საჩივარის გამო, საქმე გადავიდა უმაღლეს სასამართლოში, რომელმაც არხანგელსკის საგუბერნიო სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

კომკავშირის ზრდა

გერმანიის ახალგაზრდობის კომკავშირის ზრდა.

მოსკოვი. 10 ნოემბ. ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის სხდომაზე გამოირკვა, რომ გერმანიის ახალგაზრდობის კომკავშირის **წევრთა რიცხვი უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში გაიზარდა ათი** ათასი კაცით. გერმანიის ყველა საწარმოო დაწესებულებებში გრძელდება ახალგაზრდობის კომკავშირის ახალი უჯრედების მოწყობა. ახალგაზრდობის კომკავშირის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჰამბურგის მოძრაობაში და გაიღეს მსხვერპლიც.

პირველათ სიკვდილით დასჯა ჰამბურგში მიუსაჯეს ახალგაზრდობის კომკავშირის წევრს—ზეინკალ ტოროლს.

ინგლისში მშრომელი ახალგაზრდობა დიდი ინტერესით უცქერის ახალგაზრდობის კომკავშირს; ახალი წევრების მიღება ფართო ხასიათს ღებულობს.

რუსეთის ექსპონატები სპარსეთში

მოსკოვი. 9 ნოემბ. **თეირანის გამოფენაზე რუსეთიდან 18,000 ექსპონატი გაიგზავნა.** ლითონის მთავარმა სამმართველომ გაგზავნა გამოფენაზე სასოფლო-სამეურნეო იარაღების სრული კომპლექტი და რუსული ტრაქტორი „ზაპოროჟეც"-ი, რომელსაც სცდიან გამოფენის ახლო მდებარე მინდორზე.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტრესტმა მოაწყო გამოფენაზე ელექტრონის განათება.

გარდა ამისა გამოფენაზე გაიგზავნა აღმოსავლურ ქსოვილების კოლექცია, ჭურჭლეულობა, საშინაო სა[illegible]რეების საგნები, თამბაქოს ნაწარმოებნი და სხვა.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო. 9 ნოემ. 5—8 ნოემბერს მოსკოვსა და ასტრახანში გაზიდულია 454,539 ფ. შავი ნავთი, 155,000 ფ თეთრი ნავთი. ასტრახანში გაუზიდიათ ნავარაუდევ რაოდენობაზე 300 ათასი ფუთით მეტი.

სომხეთი

ყოფილ დაშნაკელთა ყრილობა.

ერევანი. 9 ნოემ. **20 ნოემბერს ერევანში მოწვეულია სრულიად სომხეთის ყოფილ დაშნაკელთა ყრილობა.**

ეჩმიაძინი. 9 ნოემ. 4 ნოემბერს ვაღარშაპატში გაიხსნა ყოფილ დაშნაკელთა სამაზრო ყრილობა. დაესწრო 75 დელეგატი. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ეჩმიაძინის მაზრაში, აბარანის ნაწილის ზედმითვლით, პარტიიდან გამოსულა 1,143 კაცი. ყრილობაზე მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ დაშნაკცაკანის მოღვაწეობას ჰქონდა არა სოციალისტური, არამედ ნაციონალისტური ხასიათი; ეს იყო შემცდარი გზი და მოიწვია მეზობელ მშრომელ ერების სისხლის ღვრა. საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის მშვიდობიანმა აღმშენებლო მუშაობამ და გვიჩვენა რომ სომხეთის მშრომელი [illegible] განვითარება და აყვავება და[illegible]ბულია მე 3 ე ინტერნაციონალის მარჯვებაზე. ამისათვის [illegible] სწყვეტს ყოველივე კავშირს დაშნაკელთა ორგანიზაციებთან [illegible] თავისი ძალღონე გად[illegible] კომინტერნის განკარგულებაში. [illegible] დაშნაკელთა სრულია[illegible] სომხეთის ყრილობისათვის აირჩ[illegible] 40 დელეგატი.

ახალი ყოფა-ცხოვრება.

ერევანი. 9 ნოემბ. ახალი ყოფა-ცხოვრების შესაქმნელად, გიმბის კავშირის გამგეობას განზრახული აქვს კავშირის წევრები და ოჯახები საერთო კულტურულ მუშაობაში ჩააბას და დააკავშიროს.

პარტიული ცხოვრება

სადელეგაციო კრებების ხელახალი არჩევნებისათვის

დელეგატთა კრებებმა ითამაშეს უდიდესი როლი საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგებში მუშა-ქალების ჩაბმის საქმეში.

ფაბრიკა-ქარხნებიდან და სხვადასხვა დაწესებულებათაგან მუშა-ქალი მოდიოდა ჩვენთან ზოგჯერ სრულიად გაუნათლებელი, წერა-კითხვის ნაკლებად მცოდნი, რომელსაც ძალიან უჭირდა გარკვევა ჩვენი მშფოთარე ცხოვრების ყველა საკითხებში და აქ ქალთა განყოფილების ხელმძღვანელობით საორგანიზაციო, რევოლიუციონურ სკოლაში ე. წ. „დელეგატთა კრებებზე" ის თანდათან იდეურად იწვრთნებოდა, ხდებოდა უფრო შეგნებული და აქტიური მებრძოლი მუშათა კლასის საბოლოო მიზნების—კომუნიზმისათვის.

ტფილისში ამჟამად დასრულდა 1 მოწვევის დელეგატ-ქალების მუშაობა და დაიწყო 2-ე მოწვევის დელეგატების არჩევა.

და ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია თვალი გადავავლოთ ჩატარებულ მუშაობას და დავინახოთ რა მოიტანეს ჩვენ დელეგატთა კრებებმა.

ამ ხნის განმავლობაში ტფილისის მუშა-ქალებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. მიუხედავად ჩვენი მუშაობის მთელ რიგ განსაკუთრებულ პირობათა, დიდ წარმოებათა უქონლობისა, ეროვნებათა სხვადასხვაობის, ენის სხვადასხვაობა (ქართველები, სომხები, რუსები და სხ.), მენშევიკების და დაშნაკელების მიერ გაღრმავებულ შოვინისტურ-ნაციონალისტური სიძულვილი, ბოლოს ის გარემოება, რომ აქაურ ქალს არ განუცდია მოქალაქეო ომი, რომელმაც ზეგავლენით გაარევოლუციონერა რუსეთის მუშა-ქალი, ყველაფერი ეს, რაც უნდა, გავლენას მოახდენდა მუშაობაზე და იგი უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

მაგრამ მაინც ამჟამად ჩვენ მი[illegible]ლეთ საკმაოდ დადებითი შედეგ[illegible]

ჩვენი მუშა ქალები მნიშვნელოვნად გაიწვრთნენ შეგნებით—აღარ არის ეროვნული შუღლის კვალიც კი, მეიდრო ამხანაგური კავშირი მშრომელ ქალთა შორის დიდია.

ჩვენი მუშა-ქალი სულით და გულით გაჟღენთილია მსოფლიო პროლეტარიატის დიადი იდეებით.

ეს მათ დაამტკიცეს გერმანიის ამბების დროს.

მუშა-ქალები დიდი ყურადღებით და ინტერესით ადევნებენ თვალყურს გერმანიაში მომხდარ ამბებს, აღუთქვამენ გაიღონ ყველაფერი, რასაც მათ მოსთხოვენ გერმანიის მუშების დასახმარებლად, ხოლო ზოგიერთები შემოდიან ქალთა განყოფილებებში შეკითხვებით: „რა უნდა ვაკეთოთ?“.

ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი მუშა ქალი არ ჩამორჩება ტფილისის მუშას, რომ ისიც აქტიური მებრძოლი ხდება კომინტერნის რიგებში ყველა ქვეყნის რევოლიუციონერ პროლეტარ ქალთან ერთად.

ამ ხნის განმავლობაში მუშაობა დელეგატ-ქალებთან სწარმოებდა ორი მიმართულებით.

1. საგიტ-საპროპაგანდო და საორგანიზაციო პრაქტიკული მომზადება. ყველა დელეგატ-ქალებმა გაიარეს პოლიტ-წრის მთელი პროგრამა.

ყველამ მოისმინა მოხსენებათა მთელი ციკლი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, რომელსაც თანდართული ჰქონდა სათანადო ექსკურსიები.

ეხლა ჩვენ წარმოვადგენთ ციფრებს უკანასკნელ 9 თვის განმავლობაში.

ყველა დელეგატი ქალი—523, ქალი-ორგანიზატორები—101, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო შკოლებში ჩაბმული იყვნენ—384, ადგილკომების, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტის წევრები—124, რამდენი ჩაეწერა პარტიაში გასაბჭოების შემდეგ—81.

ბოლოს ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ წერა-კითხვის უცოდინარობა ჩვენ მუშა-ქალთა შორის თითქმის სრულიად მოისპო ყველა წარმოებებში და ჩვენში აღარ არიან წერა-კითხვის უცოდინარი მუშა-ქალები.

და ეხლაც 2-ე მოწვევის დელეგატ-ქალების მუშაობის დროს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს პოლიტიკურ საგანმანათლებლო მუშაობას და ვეცადოთ არა მარტო შევიყვანოთ მუშა-ქალი ყველა მუშათა ორგანიზაციებში, როგორც არჩეული, არამედ გავხადოთ იგი აქტიურ მუშაკათ. უნდა შევასწავლოთ მას პრაქტიკული მუშაობა საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგებში და ამისათვის კი საჭიროა გავაძლიეროთ ყურადღება სექციების და საბჭოს მუშაობისადმი და ჩავაბათ მასში მუშა-ქალებიც.

ხ. დალნაია.

ამხ. დიომიდე ჩაკვეტაძის ხსოვნას

სამი თვის წინეთ დავსტოვე ლეჩხუმის მაზრა და ამასთან ერთად რევოლიუციისთვის თავგადადებული ამხანაგები—მათ შორის დიომიდე ჩაკვეტაძეც.

28 ოქტომბერს ქ. ქუთაისში ამხ. მიშა ხოფერია მეუბნება; „დიომიდე ჩაკვეტაძე მოუკლავთ ცაგერში“. არ მჯეროდა, მაგრამ ლეჩხუმიდან ამოსულმა ამხანაგებმა დამარწმუნეს, რომ ბოროტმოქმედს მართლა გამოუსალმებია სიცოცხლეს ჩვენი საუკეთესო ამხანაგი.

1918 წელში ამხ. დიომიდე მონაწილეობას იღებდა ლეჩხუმის გლეხობის აჯანყებაში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

იმავ წელში აგვისტოს დამლევში ლეჩხუმის აჯანყება დამარცხდა, მრავალი ამხანაგი დახვრეტილ იქნა, მრავალი ციხეებში იქნა გამომწყვდეული. ამხ. დიომიდე არ მოხვდა ჯალათების ხელში და მიიმალა საქართველოს გასაბჭოებამდე, ხოლო შემდეგ ამხ. დიომიდე იქვე მოსჩანს ციხეებიდან განთავისუფლებულ ამხანაგების რიგებში.

1923 წლის დასაწყისიდან ამხ. დიომიდე მსახურობდა ქ. ცაგერში ლეჩხუმის მაზრის მასწავლებელთა კავშირის მდივნათ და ითვლებოდა საიმედო ენერგიულ ამხანაგათ მთელს ლეჩხუმის მაზრაში. ბოროტმა ხელმა მოუსწრაფა მას სიცოცხლე, თორემ ამხანაგი დიომიდე კიდევ ბევრ სამსახურს გაუწევდა რევოლიუციას და საბჭოთა ხელისუფლებას.

გაჭირვების დროს მეტს ვეღარ გამოვიძახებთ თავის იარაღით ამხ. დიომიდეს, ბინძურმა ხელმა მოსწყვიტა ის ჩვენ რაზმებს, მაგრამ მისი ხსოვნა ჩვენს გულში არ აღმოიფხვრება, არ დავივიწყებთ მის საფლავს, როგორც ერთგულ ამხანაგისას.

მშვიდობით ძვირფასო ამხ. დიომიდე.

ხანდრო ქაჯაია.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(10 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	101,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	95,000
ჩეკები —	91,000
დოლარები ეფექტ. —	22,000
ჩეკები	20.500
ოსმ. ქაღ. ლირა	11.100
იტალიური ლირა	640
ფრანგული ფრანკი	960
საბჭ. ფულის ნიშნები	13 ნახ.

მუშკოპის ფასები.

პური 1 ხარ.—550 ათ., პური 2 ხარ.—450, ძროხის ხორცი—1350 მ. ცხვრის ხორცი—1,800 ათ. შაქარი რაფინადი 5 მილ. ათ., ფხვნილი შაქარი 3300 ათ., ვერმიშელი—1500 ათ., კარტოფილი—150 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ—700—800 ათ. პური 2 ხარ—500 ათ., ძროხის ხორცი—1500 ათ., ცხვრის ხორცი—1800—2 მილ, შაქარი რაფინადი—5.100 ათ., ფხვნილი შაქარი—3,300—3,500 ბრინჯი ალდ. 1,300. მაკარონი—1,600. კარტოფილი - 200 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ. ხორბალი 70 ვაგონი. ქერი 60 ვაგ. ფხვნილი შაქარი რუს. და ჰოლანდიური. სალომასი (5 ათ. ფუთი) მზესუმზირა (თესლი). შაბიამანი. კანიფოლი. ჩაი. აბრეშუმი. რუს. და იტალიური მანუფაქტურა. სკიპიდარი ფრანგ. სოდა კაუსტიური. ფანჯრის მინა. ასანთი რუს. საპონი. ცემენტი დ ეტერნიტი. მზესუმზირას ზეთი. რკინეულობა. ელექტრო-ტეხნიკური მასალა. ქვამარილი ნახიჩევანის. ქიშმიში (საბზა). ყუმანის ფქვილი. მაკარონი და ვერმიშელი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ფხვნილი შაქარი რუს. შაქარი რაფინადი. სალომასი. მზესუმზირის ზეთი. პორტლანდიის ცემენტი. რკინეულობა. ჩაი. ასანთი რუს. ლურსმანი.

ოფიციალური გარიგებანი.

ფხვნილი შაქარი (იავასი)—11 მ. 50 კ. ჩერვ. ფუთში. ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

სალომასი 11 მ. 75 კ. ფუთში ნეტტო ფრანკო—სად. ტფილისი (ტარა უფასოდ).

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ტფილისის საქონლის საერთო განწყობილება—უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

6 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 9 გარიგება. სულ 27,734 ჩერვ. მან. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების კურსმა დღეს არ იმატა. დანარჩენ ვალიუტას შესამჩნევი ცვლილება არ ეტყობა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში:

საექსპორტ-იმპორტო ოპერაციების დებულების პროექტი.

მოწონებულ იქნა და წარდგენილია ა. კ. სახ. კომისართა საბჭოში პროექტი: „საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულთა საექსპორტ-იმპორტო ოპერაციების დებულება“.

ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის წევრად შესვლა საზ. „აზტაბაკ“-ში.

ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომის. კოლეგიამ დაადგინა შევიდეს წევრად სააქციონერო საზოგადოებაში „აზტაბაკ“-ში.

ამერიკან დამხმარე კომიტეტის ტვირთის შემოტანა.

კოლეგიამ დაადგინა: „წინადადება მიეცეს ა. კ. საგარეო ვაჭრობის სამმართველოს საგარეო წარმომადგენლებს დაუბრკოლებლივ გამოუშვან საზღვარ-გარეთიდან ამერიკ. დამხმარე კომიტეტის ტვირთი, მიუხედავათ იმისა, აკრძალულია თუ არა მათი შემოტანა ლიცენზიის წესით.

ჩენი 3 ლითონის მრეწველობა.

ლითონის განყოფილების გამგებლობაში შედის ოთხი სამრეწველო: სტალინის სახელ. ავტო-სახელოსნოები, 26 კომუნარის სახელ. მანქანების და თუჯის ნაწარმოებთა დამმუშავებელი ქარხანა, კალინინის სახ მექანიკური ქარხანა და ელექტრო სადგური.

ყველა აღრიცხულ წარმოებებში მუშაობს 437 კაცი. ამ რიცხვიდან განყოფილების სამმართველოში—53 მოსამსახურეა, 372 მუშა. უკანასკნელთა შორის 274 საწარმოვო (64,5 პროც.) და 72 არა საწარმოვო (16,9 პროც.) მუშა. ადმინ.-ტეხნიკური შემადგენლობა უდრის 79 კ. (18.6 პროც.)

მუშის საშუალო ხელფასი სექტემბერში იყო 225 საქ. მანეთი.

სექტემბრის განმავლობაში ყველა წარმოებების პროდუქციის ღირებულება იყო 45 594 ჩერვ მანეთი, ხოლო პროდუქციის რეალიზაცია როგორც ამ თვესა, ისე წინა თვეების—24.463 მან.

სამთო დნო მუშაკთა კავშირის სრ. საქართველოს მესამე ყრილობა

(ჭიათურაში)

ყრილობა გაიხსნა 20 ოქტომბერს. მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ ს. პ. კ ს. და ს. კ. პ. ც. კ., შორაპნის მაზრის კომ. პარ., სამ. პროფბიუროს და ახალგაზრდობის წარმომადგენელნი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) გალაქ. ვაშაძე, 2) ხვედელიძე, 3) ახობაძე, 4) მარქაროვი, 5) სულაძე, 6) სულავა, 7) კუპატაძე, 8) გამეზარდაშვილი, 9) ლეჟავა, 10) კავთელაძე, 11) როშიძე და 12) დოზენოვი.

პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულია ამხ. ლენინი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, სტალინი და დუმბაძე.

მისასალმებელი დეპეშა ეგზავნება: გერმანიის პროლეტარიატს (კომინტ. საშუალებით), საქ. პ. კ. ს., საქ. შრომის კომისარს, სრ. რუს. სამთომადნო მუშ. ცენტ. კომიტეტს, აზერბეიჯანის და სომხეთის სამთ.-მადნ. მუშ. ცენტ. გამგეობებს.

ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) ცენტ. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) ორგანიზ. და კულტ. დარგში მუშაობის საკითხი, 4) სატარიფო-საეკონომიო და შრომის დაცვის საკითხები, 5) სამეურნეო ორგანოების მოხსენება, 6) მიმდინარე საკითხები და 7) არჩევნები.

რეგლამენტის შემუშავების შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვაშაძე.

მეორე სხდომა.

ცენტრალური გამგეობის მუშაობა.

თავმჯდომარეობს მარქაროვი. მომხსენებელი ამხ. მახვილაძე აღნიშნავს გამგეობის მუშაობას 15 თვის განმავლობაში, მიუხედავათ იმისა, რომ კავშირის წევრები გაფანტულნი არიან პროვინციებში და საქმე აქვთ კერძო, მწარმოებლებთან, და ამას გარდა ხშირია გამგეობის წევრთა გადაყვან - გადმოყვანა, მიუხედავათ იმისა კავშირის ცენ. გამგეობამ მაინც შეძლო ნორმალური მუშაობის წარმოება.

კავშირის წევრთა რიცხვი საანგ. პერიოდში 3-ჯერ გაიზარდა (4 000 წევრამდე). ცენტ. გამგეობამ მოახდინა ყველგან რაიონულ გამგეობის და ადგილკომების გადარჩევა და შირაქის ნავთის სამრეწველოებში მოაწყო ახალი ადგილკომები.

გამგეობის ინიციატივით ჩატარდა რამოდენიმე კამპანია.

სატარიფო საეკონომიო დარგში დადებულია კოლექტ. ხელშეკრულება, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებებთან, რამაც მუშათა მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა. მრეწველობის აყვავების მიზნით კავშირს ზოგიერთ დათმობაზე მოუხდა წასვლა.

რაიონების მუშებისათვის ცენტრ. გამგეობამ მიაწოდა იაფ ფასებში: თეთრეული, ფეხსაცმელები და ტანსაცმელი.

კულტურულ დარგში: გახსნილია კლუბები სამკითხველოები, თეატრები, გაგზავნილია მუშფაკებზე მსმენელები.

ჭიათურაში შეძენილია კინო, დაარსებულია წ. კ. უცოდინართა სალიკვიდაციო 4 სკოლა, სადაც ამჟამად 350 მუშა სწავლობს. წ. კ. უცოდინართა სკოლა არსებობს ტყიბულსა და ძირულაშიაც. ყველა სკოლებისათვის შეძენილია სამოსწავლო ნივთების საერთო რიცხვი.

დამატებით მოხსენებას ცენ. გამგეობის მუშაობის შესახებ კითხულობს ამხ. ცირეკიძე, რომელიც ცენ. გამგეობის დიდ დამსახურებად სთვლის მაღაროებში 8 საათის ნაცვლად 7 საათის სამუშაო დროს შემოღებას.

სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ცენტ. გამგეობას შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გაუკეთებია და მისი მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

მესამე სხდომა.

იმართება კამათი ც. გ. და სარევ. კომისიის მოხსენებათა გარშემო.

შემდეგ მოხსენებას კითხულობს სათბობი განყოფილების გამგე მარკონი ტყიბულის ქვანახშირზე.

ეხება რა ტყიბულში წარმოებულ საორგანიზაციო მუშაობას, მომხსენებელი გადადის ტყიბულის ქვანახშირის დღევანდელ მდგომარეობაზე. მოყვანილი ციფრებიდან ირკვევა, რომ ყველაზე მეტი ქვა დაუმუშავებიათ ივნისსა და ივლისში. აგვისტოში სხვადასხვა მიზეზების გამო დამუშავებამ იკლო, ხოლო სექტემბერში კვლავ აიწია.

თუ ძველ მაღაროებსა და ტყიბულს შუა გაფუჭებული ხიდი გაკეთდა, მაღაროებს შეუძლია ყოველთვიურად გაგზავნოს ბაზარზე 450 ათასი ფუთი ნახშირი.

მუშების რიცხვი 1004-დან დაყვანილია 552-მდე.

შრომის ნაყოფიერებამ იმატა.

სექტემბრიდან მუშების ხელფასი გადიდებულია.

მომავალი მუშაობის შესახებ—მარკონი ამბობს, რომ განზრახულია ძველ მაღაროებში მუშაობის შეჩერება და ნახშირის დამუშავების მთელი სიმძიმის ახალ მაღაროებში გადმოტანა, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმტკიცდება ტყიბ. ნახშირის რეპუტაცია და მის თვითღირებულება მინიმუმამდე დაიწევს.

სამთო განყოფილების გამგე ინჟ. წულუკიძის მოხსენება.

მომხსენებელი სათითაოდ ჩერდება საქ. ყველა სამრეწველო რაიონების მდგომარეობაზე. ჭიათურის შავი ქვის მრეწველობას, რომელიც ომის დროსთან შედარებით აღორძინდა, ამ ბოლო ხანებში ეტყობა შეფერხება, რაც გამოწვეულია ვალიუტის საკითხის გამწვავებით. წელს გატანის ნაყოფიერება ომის პერიოდთან შედარებით ორჯერ მეტია, რაც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

მეორე ადგილი სამთომადნო წარმოებაში უჭირავს ტყიბულის ნახშირს, რომელიც თავისი სეზონური ხასიათის წყალობით და გამყიდველთა ნაკლებობის გამო, არასასურველ პირობებშია ჩაყენებული.

მესამე ადგილი უჭირავს ჩათახის თუჯის დამდნობ ქარხანას, სადაც ამ ჟამად აწყობენ ახალ ქურას, რომელიც დაახლოვებით მოგვცემს 700 ფუთს დღეში, ჩათახის თუჯის დიდი გასავალი აქვს. საერთოდ ჩათახის ქარხანა ამ მხრივ პირველია და მიჰყავს ჩვენი მრეწველობა აყვავებას გზაზე.

შროშის ქარხანა, რომლის აგურმა გამოცდა აიტანა, ვერაა სასურველ პირობებში ჩაყენებული.

მუხროვანის გლაუბერის მარილის ქარხნის საორთქლე ქვაბი უვარგისი გამოდგა და მის ნაცვლად დაიდგა ახალი სისტემის ქვაბი.

ქუთაისის გუბერნიაში სწარმოებს ბარიტის დამუშავება ამ ჟამად ბარიტზე დიდი მოთხოვნილება არის. გაცხოველება ეტყობა აგრეთვე მუშაობას სურიტზე, რომელსაც საბურავების შესაღებად ხმარობენ.

შირაქის ველზე სწარმოებს მუშაობა ნავთის გამოსაკვლევად. შედეგი ახალი გამოკვლევებისა ფრიად სასურველი აღმოჩნდა. უნახშირობის გამო, განზრახულია ამ ველების კონცესიით გაცემა.

სრ. ქიმიკოსთა კავშირის მესამე ყრილობა

ყრილობის მეოთხე სხდომა

ს. მ. უ. ს. მოხსენება საქართველოს ქიმიურ მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებას საქართველოს ქიმიურ მრეწველობის მდგომარეობის შესახებ აკეთებს ამხ. ბურჯანაძე (ს. მ. უ. საბჭოდან). მომხსენებელი ასურათხატებს საქართველოს ქიმიურ მრეწველობას და აღნიშნავს, რომ ავჭალის შუშის ქარხნის დაკეტვის შემდეგ, მრეწველობის ეს დარგი ამ ჟამათ აერთიანებს ქიმიურ წარმოებების მეტად მცირე რაოდენობას, გარდა კარლ მარქსის სახელობის საპნის ქარხნისა.

გლაუბერის მარილის მუხრავანის ქარხანას მეტად მდიდარი პერსპექტივები აქვს. ამჟამად მოლაპარაკება სწარმოებს საზღვარ-გარეთელ ფირმებთან. ამ მოლაპარაკებას შედეგათ მოყვება გლაუბერის მარილის წარმოების გაფართოვება.

უკეთეს მდგომარეობაშია საპნის ქარხნები, რომელთაც აქვთ ნედლი მასალის საკმაო რაოდენობა; ეს ქარხნები მომგებიანი წარმოებებია.

მიღებულ რეზოლიუციაში, ყრილობა აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს თხიმების წარმოების სფეროში და აუცილებლად სთვლის ამ წარმოების პროდუქტების შემდეგ გაიაფებას ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის განსახორციელებლათ.

ყრილობა აღნიშნავს ასანთის წარმოების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას.

შემდეგ ყრილობა იღებს რა მხედველობაში ქიმიურ ქარხნების მომგებიანობას, აუცილებლათ სთვლის მათ გაფართოვებას და მათთვის სუბსიდიების მიცემას; ყრილობას აუცილებლათ მიაჩნია აგრეთვე ყველა ქიმიურ წარმოებების შემდეგი კონცენტრაცია ს. მ. უ. ს., ყრილობას დაუშვებლათ მიაჩნია ამ წარმოებების დანაწილება სხვადასხვა სახკომებს შორის.

არჩევნები.

ახალ ცენტრალურ გამგეობაში არჩეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ბაბაჯანოვი, არაქელოვი, ადამოვი, ხვიჩია, ხაჩიძე (ბორჯომი), კრავცოვი (ბორჯომი), პეტროსოვი, თეთრაძე (ახალ. კომკ.)—9 ადგილი დაეთმო საარტილერიო საწყობს. კანდიდატები: ქელტოვა, ფილატოვი, ტაბატაძე, სარქისოვი. სარევიზიო კომისიაში არჩეულნი არიან: კარლაშევი, არუთინოვი, რუბლენსკი, კანდიდატებათ: მანიევი და აბრამოვი.

ყრილობა იხურება „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

ტფილისის და მისი მაზრის შრომის სკოლებისა და საბ ვ/ვ სახლების ხელმძღვანელთა კონფერენცია

გეოგრაფია სკოლებში.

(მოხსენება ლეისტერისა).

მომხსენებლის აზრით გეოგრაფიაც, როგორც საერთოდ სხვა საგნები, შრომის სკოლებში შრომის პრინციპებზე უნდა იქნას აშენებული. კვლევა ძიებითი მეთოდი და მოწაფეთა თვითმოქმედება აუცილებელი პირობაა. ამ მიზნის მისაღწევათ საუკეთესო საშუალებაა ექსკურსიები, კოლექციათა დაგროვება და მათთან დაკავშირებით შესწავლა ადგილობრივ ლანდშაფტებისა. ლანდშაფტური სისტემა უკანასკნელი სიტყვაა თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში გეოგრაფიის შესასწავლად. მხოლოდ იგი უნდა იწყებოდეს უსათუოდ მიკრო-ლანდშაფტით და გადიოდეს მაკრა-ლანდშაფტზე. საერთოდ გეოგრაფია ძლიერ ეთვისება კომპლექსურ მეთოდს და მისი სხვა საგნებთან დაკავშირება შედარებით ადვილია.

შემდეგ მომხსენებელი გადადის გამოფენაზე წარმოდგენილ გეოგრაფიულ ექსპონატების შეფასებაზე და აღნიშნავს, რომ ამ დარგის ნამუშევრები უფრო მეტიც არის სხვა დარგებთან შედარებით და მეტის პასუხისმგებლობითი დამუშავების შემჩნევაც ატარებენ. მაგრამ დარღვეულია ბუნებრივობა. მაშინ, როცა ბევრი მასალაა ტუნდრების, ცხელი ქვეყნების და საერთოდ საქართველოზე დაშორებულ ადგილების შესასწავლად, არც ერთი ექსპონატი არ შეეხება ტფილისსა და მის არე-მარეს, რაც უსათუოდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

მომხსენებელს აძლევენ შეკითხვებს ზოგიერთ სპეციალურ კითხვათა შესახებ.

საბავშვო ბაღები და წერა-კითხვის სწავლების მეთოდები.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს რუსუდან ნიკოლაძე.

მისი მოხსენება შესდგება ორი ნაწილისაგან. პირველი შეეხება საბავშვო ბაღებს, ხოლო მეორე წერა-კითხვის სწავლების მეთოდებს. მომხსენებელი ფართოდ განიხილავს იმ სოციალ-ეკონომიურ პირობებს, რომელთაც გამოიწვიეს საბავშვო ბაღების გახსნა სკოლებთან და სკოლების გარეშეც.

საქართველოში ეკ. პირობები სახელმწიფოს საშუალებას არ აძლევს, რომ გახსნას ისეთი საბავშვო ბაღების საკმაო რიცხვი, სადაც ბავშვები 3 წლოვან ჰასაკის შემდეგ შევლენ, მაგრამ მოთხოვნილებათა მინიმუმის განხორციელება მაინც მოხერხდა. ყველა შრომის სკოლასთან დღეს არსებობს საბავშვო ბაღი განსაკუთრებულად მომზადებულ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით.

შემდეგ მომხსენებელი გადადის წერა-კითხვის სწავლების საკითხზე. იგი მოკლეთ განიხილავს ორ გაბატონებულ მეთოდს, ბგერითის და ამერიკულს, და აღნიშნავს მათ ნაკლოვანებას. ამ მხრივ მომხსენებელს უცოდველად მიაჩნია მხოლოდ მონტესორის მეთოდი, რომელიც არ მოითხოვს ბავშვისაგან არავითარი ენერგიის დახარჯვას. პირიქით ამ მეთოდით ბავშვი თავისთავად სწავლობს დიდი ინტერესით, რადგანაც ეგ მეთოდი საგნებით დაკავშირებულია ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობასთან და თავის მიზნებისათვის სწორედ იმ მოვლენებს იყენებს, რომლისაკენ ყოველთვის არის მიმართული ბავშვის სულიერი განწყობილება.

კომპლექსური მეთოდი.

(ელჩანინოვის მოხსენება).

ამხ. ელჩანინოვი აკეთებს მეტად საინტერესო მოხსენებას კომპლექსურ მეთოდის შესახებ.

მომხსენებლის აზრით ძველ სკოლას სხვა ნაკლთან ერთად ის ნაკლიც ჰქონდა, რომ ჩვენს გარშემო მომხდარი სხვადასხვა ხასიათის მოვლენები გამოყოფილად და ერთმანეთთან დაუკავშირებლად ისწავლებოდენ. კომპლექსიური მეთოდი, ე. ი. სხვადასხვა სასწავლებელ საგნების ურთიერთთან დაკავშირებით სწავლება საუკეთესო საშუალებაა მთლიანობის მისაღწევად.

მომხსენებელი ასაბუთებს რა ამ მეთოდის შემოღების აუცილებლობას, იძლევა მოკლე მაგალითებს, თუ როგორ უნდა ხდებოდეს კომპლექსის შედგენა. შემდეგ მიუთითებს გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატებს ამ მასალათა შესახებ და აღნიშნავს მათ ღირსება ნაკლოვანებას.

მომხსენებელს აძლევენ შეკითხვებს, რომელთა შესახებ მომხსენებელი იძლევა განმარტებებს.

მუშაობა ბავშვთა საზაფხულო კოლონიაში.

(მოხსენება პოტაპოვისა).

მომხსენებლის აზრით მექანიკურათ შექმნილი ჯგუფები დ განყოფილებები უნდა გაუქმდეს სკოლებში და შეიქმნეს სხვა და სხვა ხასიათის წრეები, სადაც მოწაფენი ნებაყოფლობით ჩაეწერებიან. ბავშვები აქ უნდა მუშაობდენ მთელი დღე და აგრეთვე არ უნდა არსებობდეს არც საზაფხულო დასვენება. ზაფხულობით სკოლა უნდა გადადიოდეს ქალაქიდან საგარაკოთ.

ამას აქვს მნიშვნელობა არა მარტო ჯანმრთელობისათვის. აგარაკი იძლევა საუცხოვო შესაძლებლობას ექსკურსიების მოწყობისათვის.

მოხსენება ცოტა განმარტებითი შეკითხვების შემდეგ მთლიანად იქნა მოწონებული კონფერენციის შემდეგ და გამოითქვა სურვილი, რომ იგი უკლისად იქნას დაბეჭდილი და გამოცემული მასწავლებელთა ფართე მასაში გასავრცელებლად.

ბავშვთა თვითმართველობა სკოლებში.

(მოხსენება ამხ. პროცენკოსი).

კომუნისტურ სასკოლო თვითმართველობის მიზანია აღზარდოს ბავშვებში ორგანიზატორის პრაქტიკა, აგრეთვე პრაქტიკა კოლექტიური მუშაობის და შეგნების და ამასთანავე განავითაროს პროლეტარული სულისკვეთება ამ უკანასკნელთა მიზნების და იდეების პრაქტიკულად გაცნობით.

შემდეგ მომხსენებელი აცნობს კონფერენციას, თუ რა შედეგი მოიტანა ასეთმა აღზრდამ გერმანიაში და რუსეთში და ვრცლად ჩერდება გერმანიაში მომხდარ ბავშვთა კონფერენციაზე. ბოლოს მომხსენებელი იძლევა სქემას, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ბავშვთა თვითმართველობა სკოლებში. სქემა გულისხმობს, რომ მთელი სასკოლო საქმეები, როგორც ადმინისტრატიული, ისე სამეურნეო და აგრეთვე მეცნიერულიც სწყდება და სწარმოებს ბავშვთა მონაწილეობით.

მოხსენების შემდეგ იხსნება კამათი ზოგიერთ სპეციალურ კითხვებზე.

კრება იხურება საღამოს 8 საათზე.

უკანასკნელი სხდომა.

კრება იხსნება დილის 11 საათზე.

ტფ. შრომის სკოლების წარსული და მომავალი მუშაობა.

მოხსენებას აკეთებს ამხ. ხრისტოლიუბოვი ტფილისის შრომის სკოლების წარსული მუშაობის და მიმდინარე წლის გეგმების შესახებ. მომხსენებელი ვრცლად განიხილავს, თუ რა პირობებში უხდებოდა მუშაობა სკოლებს, რა იყო დადებითი მუშაობაში, რას მიაღწია სკოლამ და რაში გამოიხატა მისი ნაკლი. შემდეგ მომხსენებელი გადავიდა იმ გეგმებზე, რაც უნდა დაისახონ მიზნათ სკოლებმა მიმდინარე წელს.

მოხსენების შემდეგ იმართება კამათი მოხსენების გარშემო.

კონფერენციის დღის წესრიგი ამოწურულია.

კონფერენციის დახურვა.

ბოლოსიტყვას ამბობს ამხ. ქაცარავა. იგი სიამოვნებით აღნიშნავს იმ ინტერესს და პასუხისმგებლობის შეგნებას, რომლითაც გამსჭვალული იყო ყოველი დელეგატი და გამოსთქვამს იმედს, რომ ეს მუშაობა უქმად არ ჩაივლის და კონფერენციაზე შეძენილი ცოდნითა და გამოცდილებით უხელმძღვანელებს ყოველი ხელმძღვანელი თავისადმი რწმუნებულ აღმზრდელ დაწესებულებას.

ქაცარავას სიტყვით კონფერენცია დასრულდა.

პელაგრისა და ანკილოსტომიაზისის ენდემიის აღმოჩენა საქართველოში

საქართველოს წითელი ჯვრის ექსპედიციამ სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ ექ. **ნიკოლოზ მახვილაძის** ხელმძღვანელობით, რომელიც მივლინებული იყო სამეცნიერო მიზნით სამკურნალო ფაკულტეტის მიერ დასავლეთ საქართველოში, **აღმოაჩინა პელაგრის ენდემია ჩოხატაურისა და ხურამის რაიონში.**

პელაგრა წარმოადგენს ფრიად სერიოზულ ავადმყოფობას, რადგანაც იგი იწვევს კანის, კუჭ-ნაწლავის და ნერვო-ფსიქიურ სფეროს დაზიანებას, მიმდინარეობს უმეტესად ქრონიკულად ათ-თხუთმეტ წლიწადს, ავადმყოფს ჰკარგავს მუშაობის უნარს და ხშირად თავდება კახექსიითა და შეშლილობით. პელაგრა, როგორც ფიქრობენ, წარმოსდგება სიმინდით ზედმეტი და ხანგრძლივი საზრდოობის გამო; მეტადრე მავნეა წამხდარი მოწყარი სიმინდი. პელაგრა გავრცელებულია ჩვენში უმთავრესად ღარიბ გლეხ-კაცთა შორის და მათ დიდ გაჭირვებას აყენებს, რადგან მათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ამ სნეულების შესახებ და სწამლობენ როგორც „ნასიცხს“, ან „ციებ ცხელებას“.

ამის გარდა **ჩოხატაურის რაიონში აღმოჩნდა აგრეთვე ფრიად მავნე სნეულობა—ანკილოსტომიაზისი.** ამ ავადმყოფობის გამომწვევია პაწაწა ნაწლავის ჭია—ანკილოსტომა, რომელიც იწვევს მძიმე სისხლ-ნაკლებობას, გულის მანკსა და თუ დროზე არ უწამლეს, ავადმყოფი იღუპება. ამ ავადმყოფობის წამლობა არ არის ძნელი და შესაძლოა სრული განკურნება, წამალიც შედარებით იაფია. საგულისხმიეროა, რომ ფერმკრთალობა, რომელსაც იწვევს ანკილოსტომა, წააგავს მალარიის სისხლ-ნაკლულოვანებას დ ამიტომ ანკილოსტომიაზით ავადმყოფთ აქამდე წამლობენ ქინაქინით. ამისათვის ავადმყოფთა შორის აღმოჩნდა საშინელი მძიმე ფორმები. ანკილოსტომიაზისი გურიაში ფრიად გავრცელებულია, მეტადრე ზოგიერთ სოფლებში (ს. ამაღლობა, ჯვარცმა, გოგოლის უბანი, ფარცხმა და სხვა); ბევრია ავადმყოფი ბავშვები, რომელნიც ყურადღებას იპყრობენ თავისებური სიყვითლით.

საერთოდ ხალხი დიდ გაჭირვებაშია; პელაგრა, ანკილოსტომიაზისი და აგრეთვე მალარია, რომელიც აქ საკმაოდ [illegible], გადაგვარების გზაზე აყენებს მას. საჭიროა დაუყოვნებლივ ფართოდ დაყენებული მასიური დახმარება.

ასისტენტ მახვილაძის აზრით, პელაგრა და ანკილოსტომიაზისი შესაძლოა აღმოჩნდეს ჩვენში და საერთოდ კავკასიაში სხვა კუთხეებშიაც, მაგალითად სამეგრელოში, სადაც შესაფერისი კლიმატიური პირობები არსებობს, პელაგრით ავადმყოფები მას უკვე უნახავს. მეტადრე ყურადღება უნდა მიექცეს მაღაროების მუშებს (ტყიბულა, ჭიათურაში), რადგანაც, როგორც გვიჩვენებს ევროპისა და ამერიკის მაგალითი, მაღაროებში ანკილოსტომიაზისი იმდენათ ხშირი მოვლენაა, რომ იქ ამ სენს უწოდებენ მაღაროების ავადმყოფობას. ფრიად სასურველია ჩვენ მაღაროებშიც იყოს მოხდენილი შესაფერისი გამოკვლევები.

სხვათა შორის, ექსპედიციას ჩამოჰყვა რამოდენიმე ავადმყოფი პელაგრითა და ანკილოსტომიაზისით, რომელნიც მოთავსებულნი არიან სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის თერაპიულ კლინიკაში.

წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმმა, მოისმინა რა ასისტენტ მახვილაძის მოხსენება პელაგრის და ანკილოსტომიაზისის შესახებ დასავლეთ საქართველოში, დაადგინა:

1. გაიგზავნოს პელაგრისა და ანკილოსტომიაზისით დაავადებულ ადგილებში სპეციალური ექსპედიცია ხსენებულ სენებთან საბრძოლველად;

2. მოეწყოს წინასწარი მოკლე კურსი ექსპედიციაში მიმავალ ექიმთათვის პელაგრისა და ანკილოსტომიაზისის შესასწავლად;

3. გამოსცეს პოპულიარული ბროშიურები პელაგრისა და ანკილოსტომიაზისის შესახებ ხალხში გასავრცელებლად.

კურსების ხელმძღვანელობა და ბროშიურის შედგენა ეთხოვოს ასისტენტ ნ. მახვილაძეს.

ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული

ზეიმობა უცხოეთში

ლატვია.

რევოლიუციონური მუშების გრანდიოზული მიტინგი.

რეველი. 10 ნოემბერი. რეველის მუშებმა ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე მოაწყვეს დიდი მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს სახელმწიფო კრების კომუნისტური და მუშათა ფრაქციების წევრებმა.

ოსმალეთი.

საზოგადო დღესასწაული.

სტამბოლი. 10 ნოემბერი ოქტომბრის წლისთავის დღესასწაული გადახდილ იქნა საზოგადოთ. თეატრში მოხსენება გააკეთა სარეპატრიაციო კომისიის თავმჯდომარემ, რომელსაც შეხვდნენ მქუხარე ტაშისცემით. პრესამ ზეიმს უძღვნა თანაგრძნობითი წერილები.

შვეცია.

ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავი.

სტოკჰოლმი. 10 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავი იდღესასწაულეს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლებმა სახალხო სახლში. სიტყვები წარმოსთქვეს ოსინსკიმ, სიმონოვსკიმ, გერმანმა და ბერგგრენმა. კომუნისტური „პოლიტიკენ“-ი გამოვიდა ოსინსკის, სიმონოვსკის, წერილებით, რომლებიც დაბეჭდილი იყვნენ ნაწილობრივ რუსულად.

იაპონია.

მილოცვა საბჭოთა მთავრობას.

ტოკიო. 10 ნოემბერი. იაპონიის შრომის გენერალური კონფედერაციის ცეკას მუშათა ორგანიზაციებმა, გაზეთების უმეტესობამ, გოტომ და იაპონიის სხვა მოხელეებმა „როსტა“-ს წარმომადგენლის საშუალებით გადასცეს საბჭოთა მთავრობას მილოცვა, ოქტომბრის წლის თავს ყველა ქალაქში აღფრთოვანებით ჩატარდა მუშათა მიტინგები.

მანჯურია.

მაინც იდღესასწაულეს.

ხარბინი. 10 ნოემბ სამშაბათს, ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების დროს, ჩინეთის პოლიციის რაზმები გარს შემოერტყენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის განაპირა ადგილებში მოთავსებულ საგუბერნიო საბჭოს, დახვრეტით დაემუქრენ მუშებს, შეაწყვეტინეს მუშაობა და დაიწყეს პლაკატების ჩამოხევა. მიტინგებს ერეკებოდენ იარაღით; საღამოს პოლიცია შეიჭრა „ტრიბუნის“ რედაქციაში და სტამბაში, არ შეუშვეს შიგ თანამშრომლები და ასოთამწყობები, ემუქრებოდენ მათ ელექტრონის მავთულების გადაჭრით. ენერგიული პროტესტის შემდეგ, პოლიციამ დასტოვა შენობა.

ოთხშაბათს მუშები და ახალგაზრდა კომკავშირის წევრები—პიონერები დროშებით და პლაკატებით გაემართენ საგუბერნიო საბჭოსაკენ, სადაც აღმართეს წითელი დროშები და პლაკატები. დაიწყო სიტყვები, ჩინელები გარს შემოერტყნენ შეკრებილებს. ჩამოართვეს მათ დროშები და აიტეხს სროლა. დაჭრილია ოთხი. გამოტანილია მასიური საპროტესტო რეზოლიუციები. მიუხედავათ ამისა, დღესასწაული აღფრთოვანებით ჩატარდა.

საბჭოთა რუსეთი მსოფლიო იდეალია

ჩინეთი

პეკინი. 10 ნოემბ. 100-ზე მეტმა გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ ინახულეს კარახანი და მიულოცეს ოქტომბრის დღესასწაული. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბინაზე გამართულ ბანკეტზე, კარახანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც დამსწრენი ოვაციებით შეეგებნენ. სტუმრების მხრივ ილაპარაკა კლიუნგსინგლინმა და აღნიშნა, რომ **საბჭოთა რუსეთმა გასაოცარ წარმატებას მიაღწია 6 წლის განმავლობაში,** მაშინ, როდესაც ჩინეთმა ვერავითარ ნაყოფს ვერ მიაღწია 12 წლის განმავლობაში, ჩინეთის რევოლიუციის დაწყების შემდეგ. მაგრამ ჩინეთის უბედურება მხოლოდ შინაური განხეთქილებანი კი არ არის, არამედ უცხოელების გავლენაც. როდესაც ჩინეთიც განთავისუფლდება ამ უკანასკნელთაგან, მაშინ ის შინაურ არევ დარევასაც დასძლევს და შესძლებს ცხოვრებაში გაატაროს ის იდეალები, რომელის მაგალითსაც აძლევს მას საბჭოთა რუსეთი. საბჭოთა ხელისუფლების იდეალები მიზნად ისახავს არა ერთი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს კეთილდღეობას.

მეორე ორატორმა აღნიშნა, რომ **რუსეთის რევოლიუციამ მოგვცა ის, რის მოცემაც ვერ შესძლო ვერც ამერიკის და ვერც საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ.**

გაუმარჯოს საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკას, რომლის შემწეობითაც ჩინეთი მიაღწევს თავისუფლებას.

ჩინეთში მყოფმა გერმანიის საელჩომ, ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე, **საელჩოს შენობაზე წითელი დროშა გამოჰფინა.**

გვირგვინი კარლ მარქსის საფლავზე

ინგლისი

ლონდონი. 10 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის დღესასწაული ლონდონში გახსნა რაკოვსკიმ, რომელმაც **კარლ მარქსის საფლავი გვირგვინით შეამკო,** სრულუფლებიან წარმომადგენლობის მუშაკთა, სავაჭრო წარმომადგენელთა და ლონდონის ნავთსადგურში მყოფ მუშათა წარმომადგენლების თანდასწრებით. ნავთსადგურშივე გაიმართა საუზმე, გემების უფროსთა თანდასწრებით.

დღესასწაულმა დიდი ყურადღება მიიქცია ახლო-მახლო მყოფ ინგლისის მოქალაქეებისა, რამაც შეაშფოთა საზღვაო პოლიცია.

მისალმების დეპეშები გაეგზავნა ლენინს და კრასინს. ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ დიდი მიტინგები მოაწყო ლონდონსა, მანჩესტერსა და სხვა ქალაქებში.

მეცნიერება და ტეხნიკა

სისხლით ვაჭრობა ამერიკაში

ამერიკელმა ფიზიოლოგებმა და ექიმებმა გამოაქვეყნეს მეტად საინტერესო ცნობები იმ დაკვირვებების შესახებ, რომლებსაც ისინი ახდენდნენ ე. წ. „სისხლის მიმწოდებლებზე“.

საქმე იმაშია, რომ ამერიკაში, სადაც ყველაფერი იყიდება პრეზიდენტის თანამდებობიდან დაწყებული... მდიდარ საცოლემდე უკანასკნელ ხანებში ძლიერ განვითარდა სისხლის გადმოსხმა ჯანსაღი ორგანიზმებიდან რაიმე ავადმყოფობისაგან დასუსტებულ ორგანიზმებში. ამერიკის დიდ ქალაქში ამ ჟამად 2.000 მეტი პროფესიონალი სისხლის მიმწოდებელია, რომლებიც ყოველწუთს მზად არიან სათანადო ჯილდოსათვის დასთმონ თავისი სისხლის ნაწილი. დიდ კლინიკებს ჰყავს საკუთარი, მუდმივი მიმწოდებლები, რომელთაც სისხლის მიწოდების მონოპოლია ეკუთვნის.

გამოირკვა, რომ ნორმალურ ორგანიზმს სამ-ოთხ თვეში ერთხელ შეუძლია დაუთმოს სხვას თავისი სისხლი ისე, რომ თვით ამ ორგანიზმისათვის ამ ოპერაციას რაიმე უარყოფითი შედეგი არ მოჰყვეს.

ამერიკელი ფიზიოლოგები, თანახმად თავისი დაკვირვებებიდან მიღებულ შედეგებისა, ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი ადამიანის ორგანიზმები ეჩვევიან პერიოდულად სისხლის ნაწილის სხვისთვის დათმობას. უმეტეს შემთხვევაში ამ ოპერაციებს მიმწოდებლებისათვის არავითარი უარყოფითი შედეგები არ მოჰყოლია. პირიქით, ზოგიერთმა ორგანიზმებმა ამ ოპერაციების შემდეგ მოიმატეს წონაში, რასაც ფიზიოლოგები იმით ხსნიან, რომ სისხლის მიმწოდებლები დიდ ფულებს იღებენ სისხლის დათმობისათვის, რაც საშუალებას აძლევს მათ გააუმჯობესონ თავისი კვება, რომ ორგანიზმი მოამზადონ ახალი ოპერაციისათვის.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ამერიკის ბურჟუაზია დიდ აგიტაციას ეწევა „ვაჭრობის ამ ახალი დარგის წინააღმდეგ“. საქმე იმაშია, რომ პროფესიონალი სისხლის მიმწოდებლები ულარიბესი წრეებიდან არიან. გამოსული (აბა რომელი ჩასუქებული ბურჟუა დაუთმობს სხვას თავის სისხლს!) და ამერიკის ბურჟუაზია შიშობს, რომ ამ გარემოებას კომუნისტები გამოიყენებენ აგიტაციისათვის. ამერიკის ბურჟუაზიას სურს ეს საქმე ჩუმათ მოაწყოს, მას სურს „სისხლიც შეიძინოს და პატიოსნებაც დაიცვას“.

ლონდონი მიწაში.

ცნობილი ინგლისელი რომანისტი უელსი სწერდა ერთ თავის რომანში, რომ მთვარის მცხოვრებლები მთვარის ზედაპირზე კი არ ცხოვრობენ, არამედ მთვარის შიგნით.

რომანისტის ეს ფანტაზია ნაწილობრივ განხორციელებულია. ევროპის დიდ ქალაქებში იმდენი ხალხია თავმოყრილი, ისეთი დიდი მოძრაობაა, რომ ქალაქის ქუჩები საკმაო არ არის ამისათვის და მიწის ქვეშ გაყვანილია რკინისგზა და ტრამვაი.

ამ უკანასკნელ ხანებში ლონდონის მიწისქვეშა რკინისგზის გამგეობა შეუდგა თავისი რკინისგზების ქსელის და სადგურების გაფართოვებას.

როგორც ჩანს ლონდონის ნაწილის მიწის ქვეშ გადატანის იდეა საკმაოდ მომწიფებულა ინგლისში. ინგლისის ერთ-ერთი ინჟინერი წინასწარმეტყველობს, რომ სულ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იმ ადგილზე, სადაც ახლა ლონდონია მიწის ქვეშ გაშენდება მეორე ლონდონი ბაღებით, სასახლეებით, სავაჭროები და სხვა, რომელიც განათებული იქნება ელექტრონით. ამ ინჟინერმა გამოიმუშავა დაწვრილებითი გეგმა მიწის ქვეშ მეორე ლონდონის გაშენების და ამტკიცებს, რომ ეს დიდ სიძნელეს სრულიად არ წარმოადგენს.

ქრონიკა

— **აფთიაქის და სამკურნალო დახმარების მოწყობა გუდაუთაში.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო ქვეგანყოფილების მიერ მიმდინარე წელს სახ. გუდაუთში მოეწყო აფთიაქი და სამკურნალო დახმარების პუნქტი.

— **ა.-კ. რკინის გზების შეკეთებისათ.** ა.-კ. რკინის გზების შესაკეთებლად 1923—24 წლის ხარჯთაღრიცხვაში გადადებულია 3,370,250 მან. ჩერვონცებით.

— **ბორჯომის სახელმწიფო მამულები.** ბორჯომის სახელმწიფო მამულების სამმართველოსთან დაარსდა სასოფლო-სამეურნეო სამკურნალო-სანიტარული და ეკონომიური განყოფილებები.

— **ნაოსნობის განახლება მტკვარზე და რიონზე.** ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს და წყალის ტრანსპორტის ინსპექციას განზრახვა აქვს მტკვარზე და რიონზე განაახლოს და მოაწყოს ნაოსნობა.

მუშათა ცხოვრება

ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა-გლეხთა ინსპექციაში

ა. წ. 6 ნოემბერს საქართვ. მუშათა-გლეხთა ინსპექციის შენობაში გამართულ იქნა საღამო ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავად. საღამო მეტად შინაარსიანი გამოდგა.

წარმოდგენის წინ სახალხო კომისარმა ამხ მ. ოკუჯავამ გააკეთა მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის მნიშვნელობის შესახებ.

ამის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა რევოლიუციონურ ცხოვრებიდან; ამ საღამოსათვის საგანგებოდ მოწვეულ ახალგაზრდა სპარტაკელების მონაწილეობით.

მესამე განყოფილებაში იღებდა მონაწილეობას საქ პროფესიონალურ კავშირების მომღერალთა გუნდი ამხ. ი. კალანდაძის ლოტბარობით, რომელმაც შეასრულა მრავალი რევოლიუციონური და ხალხური სიმღერები.

მე-4 განყოფილებაში თავი ისახელა თავის ნიჭიერ და მოხდენილ ხუმრობით ა. კ. ინსპექციის თანამშრომელმა ამხ. თაყაიშვილმა.

ყოველივე ამის შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომელმაც გასტანა დილის 4 საათამდე. ხალხი ბლომად დაესწრო, როგორც ინსპექციის თანამშრომლები, ისე საგანგებოდ მოწვეულნი. ყველანი დიდი ნასიამოვნები და მადლიერნი დარჩნენ.

დიდი მადლობის ღირსია ადგილკომი, რომელმაც არ დაიშურა თავის ენერგია ხსენებულ საღამოს კარგად ჩატარებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი სასიამოვნო მოვლენა: საქ. პროფ კავშირების მომღერალთა გუნდი ერთი წლისწადიც არაა, რაც არსებობს, მაგრამ იმდენად მომზადებულა, რომ ვერც ერთი გუნდი ტფილისში მას ვერ შეედრება. ხმები ძალიან კარგები არიან და ამასთანავე ეტყობა მადლიერი ხელი ლოტბარ ამხ. იუსტ. კალანდაძისა. გუნდი ასრულებს უმთავრესად რევოლიუციონურ და ხალხურ სიმღერებს.

დიდი მადლობის ღირსია საქ. პროფ კავშირების საბჭო და ამხ. კალანდაძე ასეთი გუნდის შექმნისათვის.

საჭიროა, ამ გუნდმა მუშათა რაიონებში გამართოს კონცერტები, რაც დაატკბობს ესთეტიურად ჩვენ მუშათა რაიონებს.

მუშკორი პირდაპირი.

ამხ. ლენინის სახელობის თუთუნის ფაბრიკის მუშებში

ჩვენი,—საბჭოთა ქვეყნების მუშებისა და რევოლიუციონურად განწყობილ ყველა მოქალაქეთა რევოლიუციონურ ხმას—გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ დახმარების გასაწევად, დიდის გატაცებით გამოეხმაურა ზემოდ დასახელებული ფაბრიკის მუშები. ფაბრიკის თითოეულმა მუშამ გაიღო თავის წვლილი, თავის მოძმე—გერმანიის რევოლიუციონერთა სასარგებლოდ. ჯამი თავისუფლად გაღებულ შემოწირულებათა, აქაურ მუშების მიერ უდრის 2 მილიარდ 577 მილ. მანეთს, რომელიც უკვე გადაცემულია დანიშნულებისამებრ.

ამას გარდა აღსანიშნავი არის ის გარემოებაც, რომ ოქტომბრის რევოლიუციის დღეს, ლენინის სახელობის თუთუნის ფაბრიკის მუშებმა, დიდი აღტაცებით მიიღეს მონაწილეობა დღეობის ზეიმის ჩატარებაში. არ დაკლებია არც ერთი მუშა, რომ საღლუმოდ გამგზავრებულ მუშათა პროცესიის რიგებში არ ყოფილიყოს. აღლუმიდან დაბრუნების შემდეგ ამ ფაბრიკის მუშებმა გამართეს სადღესასწაულო საზეიმო სადილი თვით ფაბრიკაში და ასე მხიარულად და მეგობრულად ჩაატარეს დღეობა.

მუშკორი მ. ა.

„ზაკჩეკას" ბატალიონი სტუმრად თავის შეფთან.

5 ნოემბერს თვითმშრომელთა კლუბში გაიმართა ჩვეულებრივი შაბათობა, სადაც თვითმშრომელთა საზოგადოება ემზადებოდა ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად. ამ დღეს თვითმშრომელთ ეწვია „ზაკჩეკას" ბატალიონი, რომელიც მისი მზრუნველია და ეს უკანასკნელი ნაშვილები ჰყავს მას.

საღამოს 8 საათზე სიმღერით მწყობრად მოვიდა ბატალიონი, რომელსაც კლუბში მიეგებნენ ხელოსანი შეფები.

ჯარისკაცთა შორის ერთი თეთრწვერა მოხუცი ურევია წითელარმიელის ტანსაცმელში მხიარულის სახის გამომეტყველებით.

ეს ამხ. **მიხა ჩოდრიშვილია**, ბატალიონის საპატიო წითელარმიელი, რომლისთვისაც ჩაუცმიათ მათთვის შენახული წითელარმიელის ტანსაცმელი და წამოუყვანიათ.

შედიან თეატრში ჯარისკაცნი.

თეატრი გაჭედილია ხალხით.

სცენაზე არიან ამხ **მიხა ჩოდრიშვილი, ლევან მიროტაძე, იაკობ გურძიელი, ხ. შაგიშვილი, ს. ჩხეიძე** ბატალიონის ხელმძღვანელი, გაზეთ „კომუნისტის" **მუშკორი გარო**, გაზეთ „გუდოკის" წარმომადგენელი და სხვა.

საღამოს ხსნის ამხ. ს. შავიშვილი. მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე აკეთებს გაზ. „გუდოკის" წარმომადგენელი, რომელიც მოკლე შტრიხებში აცნობს საზოგადოებას თანამედროვე მდგომარეობას.

მოხსენებით ხალხი კმაყოფილი დარჩა, რის შემდეგ მონაწილეთ პარტერში მყოფ საზოგადოებიანათ სურათი გადაიღეს.

მხოლოდ შემდეგ გაიმართა წარმოდგენები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე დასდგეს რევოლიუციონური პიესები რუსულ და სომხურ ენაზე „ერთხელ საღამოს" და „წითელი გენერალი." მხოლოდ ბოლოს ხალხის დაუსრულებელი სიცილით და მხიარულებით წარმოდგენილ იქნა ქართულად „ჩინჩრაქა", რამაც ხალხის აღტყინებულ სულიერ მდგომარეობას რევოლიუციონურის სურათების ყურებით [illegible].

ნასიამოვნები ხალხი დაიშალა ღამის ორ საათზე, რის შემდეგ შედგა თათბირი დღესასწაულის ჩატარების შესახებ.

მუშკორი გარო.

ჩვენმა მუშებმა გახსნეს ამხ. ლადო სუხიშვილის სახელობის კლუბი.

კომუნალური წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომის და კულტ ურიდის მიერ, 7 ნოემბერს, „ოქტომბრის დიდი რევოლიუციის 6 წლის თავის" აღსანიშნავად და ამხანაგ ლადო სუხიშვილის პატივსაცემად გახსნილ იქნა კლუბი (ჩერქეზიშვილის და კირკის ქ. კუთხეში).

კლუბი გახსნა ამხ. ლ. გაგნიძემ. მან აღნიშნა დიადი მნიშვნელობა ოქტომბრის რევოლიუციისა და ამხ. ლადო სუხიშვილის რევოლიუციონური მოღვაწეობა.

შემდეგ ამისა სიტყვები წარმოსთქვეს ქალ. ტფილისის მუშ. და გლეხთა აღმასკომის თავმჯდ. ლადო სუხიშვილმა, პროფკავშირის პასუხ. მდ. მდივანმა სერგეევმა, მეორე რაიკომის მდივანმა ნაზაროვმა, რომლებმაც მოგვილოცეს ოქტომბრის წლის თავი და კლუბის გახსნა. კლუბის გახსნა მოგვილოცა ამხ. ტიგიშვილმა და ფირიაშვილმა სოფ ხაშმის სახელით, რომელთაც **შემოსწირეს კლუბს ძვირფასი საჩუქარი—ხელმწიფო ღერბი ხილეულობით მორთული.** სიტყვების შემდეგ დადგმულ იქნა პიესა „ოქროს კერპი" ვ რუხაძისა.

სცენაზე იყო აღმართული საშინელი კერპი, რომლის წინაშე ქედს იხრის ამაყი ზვიადი მეფე, გაიძვერა და ცბიერი სულის-მამა მოძღვარი, მგოსანი, მდიდარი სოვდაგარი. ამაყობს კერპი; კერპი განსახიერებაა კაპიტალისტური ცხოვრებისა, რომ ის ძლიერია და ამბობს, რომ არავინ არ არის მისი მეტოქე, რომ მას შეურყოს სიძლიერე-სიმტკიცე. ამ ხმაზე შემოდიან მუშები, ამხობენ საზარელ კერპს და ამყარებენ სოციალიზმს კომუნიზმს. პიესა დასრულდა ცოცხალი სურათით: ინტერნაციონალი.

პიესამ როგორც თავისი შინაარსიანობით, ისე მხატვრული დადგმით მოლოდინს გადააჭარბა. დიდი მადლობის ღირსია ამხ. ა. ბადრიძე, რომლის რეჟისორობით დაიდგა პიესა. ვუსურვებთ მას, რომ მისი ენერგიული შრომა და დიდი ხნის გამოცდილება მოეხმარებიოს ამ ახალ გახსნილ ნორჩ სცენასთვის ნაყოფიერად.

სალიტერატურო განყოფილებაში მხატვრული ენით წაიკითხეს ლექსები: ალ. თავდგირიძემ, ნ. კასრაძემ და ა. ბადრიძემ. თავის იმერული სცენებით ა. გოგოშიძემ ძლიერ გაამხიარულა დამსწრე საზოგადოება. საღამო დასრულდა თარხნიშვილების კონცერტით ორ განყოფილებად.

საზოგადოება დაიშალა დიდად ნასიამოვნები. კლუბი მოთავსებულია შესაფერ ბინაში და შეძენილია საუცხოვო დეკორაციები. კლუბის გახსნა მოწყობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ადგილკომს და კულტ უჯრედს, რომელთაც შესძლეს ადმინისტრაციის ამხ. დიასამიძის და ალ. ტიგიშვილის დახმარებით ამ ძნელი და სასიქადულო საქმის დაძლევა.

მუშკორი გ. ანიძე.

დაუდევრობა, თუ გაუგებრობა?!

ტფილისის ქუჩების დაწმენდა—დახვეტა წესიერად არა სწარმოებს; იმის მაგიერად, რომ მეეზოვეები მათ იმ დროს ხვეტავდნენ, როდესაც ეს საჭიროა და ქუჩებში ხალხი არ დადიოდეს, (დილით ადრე, ანუ გვიან საღამოთი) სწორედ იმ დროს ურჩევენ, როდესაც ეს ყოვლად დაუშვებელია და ქუჩები გაჭედილია ხალხით (დილის 8—9 საათზე). დგება საშინელი კორიანტელი და უდანაშაულო მიმსვლელნი ყლაპავენ მტვერში შერეულ ათასგვარ საბედისწერო ბაცილებს, რომლის წყალობითაც, შესაძლებელია, ადამიანი ამა თუ იმ გადამდებ სენს შეეყაროს და ადრე გამოესალმოს წუთისოფელს. საჭიროა, ვისგანაც ეს ჯერ არს, რომ მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და მეეზოვეებს სავალდებულოდ გაუხადონ, ქუჩის მორწყვა, და მისი დაგვა დილით ძალიან ადრე, ან შუაღამისას დახვეტა და მათ დაუდევრობას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო.

სტამბის მუშა კ.

გაუგებრობა თუ ბოროტმოქმედობა?!

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

საერთოდ ყველამ კარგად იცის, თუ რანაირი მწვავე ხასიათი აქვს მიღებული საბინაო საკითხს ჩვენში და რანაირ ხრიკებს არ მიმართავენ ხოლმე ზოგიერთი ბოროტმოქმედი პიროვნებანი ამ „მტკივნეულ ადგილის" მოსაშუშებლად.

ერთი ამნაირი მაგალითის მოწმე შევიქენი ამ ხანებში:

წინა დღეებში შემთხვევით შევიარე მე-12 უბნის სახალხო სასამართლოში, სადაც ირჩეოდა საქმე მოქ. შავლაყაძესი მისი დით და მოქ. შილაკაძის.

საქმე შემდეგშია: ერთ ეზოში სცხოვრობენ ეს ორივე მოდავე მხარენი; ორი ოთახი ეჭირათ შავლაყაძეს და მის დას (პირველი—წითელარმიელია, ხოლო მეორე—სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტის მოწაფეა.) იმავე ეზოში ცალკე სცხოვრობდა მოქ. შილაკაძეც.

როდესაც საზაფხულოდ დაითხოვეს მოწაფეები, შავლაყაძის და (ქვრივია) წავიდა სოფელში დასასვენებლად. ხოლო ძმა ჯარში იყო. როდესაც ქალი დაბრუნდა სოფლიდან, ოთახები უკვე ეჭირა მოქალაქე შილაკაძეს, რომელსაც შეცდომაში შეეყვანა ქალაქის აღმასკომი და მოტყუებით აეღო ორდერი ამ ბინაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ორდერების გაცემა საერთოდ ბინებზე ქალაქის აღმასკომის მიერ გაზ. „კომუნისტში 1923 წ. 23 აპრილიდან გამოცხადებულ დადგენილების თანახმად, შეწყვეტილია და რანაირად მოხდა, რომ მოქ. შილაკაძემ მოახერხა ორდერის აღება და ქუჩაში გამოყარა ორი ადამიანი მაშინ, როდესაც მას, ერთის მხრივ, იმავე დადგენილების მიხედვით არ შეეძლო ამ ბინაზე ორდერის აღება და, მეორეს მხრივ, მოწაფის ოთახი, თუ იგი წასულია საზაფხულოდ დასასვენებლად, არ შეიძლება გადაცემულ იქნეს სხვაზე სამი თვის განმავლობაში.

ამას საჭიროა მიექცეს სერიოზული ყურადღება; ჯერ, ერთი, რომ ქალაქის აღმასკომმა თუ შეწყვიტა ორდერების გაცემა,—როგორ მოხდა, რომ მოქ. შილაკაძემ ან და თვით აღმასკომმაც დაარღვიეს დადგენილება ბინებზე ორდერების გაცემის შეწყვეტის შესახებ.

მოქ. შილაკაძეს მილიციის თანადასწრებით და მისი დახმარებით გაუღია ბინა და შესულა შიგ, სადაც ის ამჟამად სცხოვრობს.

მუშკორი ბაჩუა.

მუშათა ქრონიკა

კიდევ ერთი მუშკორი.

ტფილისის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეებმა გაზით „კომუნისტის" თანამშრომლად (მუშკორად) აირჩიეს ამხ. ათანასე სიმონისძე გოგოშიძე.

— **უმუშევართა სასადილო.** შრომის კომისარიატმა წინადადება მისცა ტფ. უმუშევართა სასადილოს გამგეს, ამ თავითვე შეიძინოს აღნიშნულ სასადილოსათვის ზამთარში საყოფი სურსათ-სანოვაგე.

— **შრომის დაცვა.** წინადადება მიეცა შრომის დაცვის განყოფილებას მიიღოს ზომები, რათა ქ აღმასკომის ჯანმრ. განყოფილების ექიმი არ ერეოდეს შრომის დაცვის დარგში.

— **ცვლილება დამზღვევ წიგნაკებში.** შრომის კომისარიატმა დაამტკიცა დამზღვევი კასის მიერ წარმოდგენილი დებულება, დაზღვევის წიგნაკებში დაზღვეულების და მისი ოჯახის წევრების ფოტოგრაფიული სურათების მოთავსების შესახებ.

— **ცეცხლის ფარეშები.** წინადადება მიეცა შრომის დაცვის განყოფილებას, ორთქლის ქვაბებზე მომუშავე გამოუცდელი და [illegible] ცეცხლის ფარეშები მოხსნას და მათ ადგილზე დააყენონ მცოდნე პირნი მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცდენათ.

— **მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** სასურსათო სახ. კომისარიატის ცნობით, 9 ნოემბრისათვის მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქართველოში შემოსულია 851,921 ხორბლის ერთეულები, აქედან 68078 ფ ხორბალი და 39 504 ფ ქერი. ფულად 3 ტრილიონი, 80 მილიარდი, 878 მილიონი და 644 ათასი მან.

— **ქინა დაზღვეულებისათვის.** სოც. დაზღვევის სამმართველოს მიერ დაზღვეულ მუშა მოსამსახურეთათვის შეძენილია 78 კილო ქინა, რომელიც განაწილებული იქნება საქართველოს დამზღვევ კასათა შორის.

— **თელავის მაზრის საგლეხო კომიტეტების ყრილობა.** დღეს, 11 ნოემბერს, თელავში გაიხსნება თელავის მაზრის საგლეხო კომიტეტების ყრილობა. ყრილობა სხვა საკითხთა შორის გაარჩევს ტფილისში გლეხთა სასახლის მოწყობის საკითხს.

— **საგლეხო კომიტეტები საქართველოში.** ამჟამად საქართველოში ორ მესამედ ნაწილში დამთავრებულია საგლეხო კომიტეტების არჩევნები. ახლო ხანში მთელ საქართველოში დამთავრდება აღნიშნული კომიტეტების არჩევნები.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 9 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 82 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—68, სამუშაოზე გაიგზავნა—55 უმუშევარი.

შემთხვევები.

— **ქურდის შეპყრობა.** 8 ნოემბერს შეიპყრეს გიორგი კოგანი, რომელსაც ბრალი ედება სხვადასხვა ქურდობაში.

— **ბინის გაქურდვა.** 7 ნოემბერს გაქურდეს მოქ. ალექსანდრე ბაქურაძის ბინა, (ჩერქ. ქ. № 71). წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები.

— **ბოროტმოქმედი ქალის შეპყრობა.** 7 ნოემბერს შეიპყრეს მარგარიტა თაქთაქიშვილი, რომელსაც ბრალი ედება მრავალგვარ ბოროტმოქმედებაში.

— **უნივერსიტეტის საწყობის გაქურდვა.** 6 ნოემბერს გატეხეს სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყობი. წაღებული ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

ხელოვნება

საქართველოში.

— **წიგნი ოქტომბრის რევოლიუციის აღსანიშნავად** გამოვიდა ოქტომბრის რევოლიუციის აღსანიშნავად დიდტანიანი წიგნი „ოქტომბრის რევოლიუცია", რომელშიდაც მოთავსებულია წერილები ოქტომბერზე და სურათები ოქტომბრის ბელადების.

— **ახალი პროფესორი კონსერვატორიაში.** განათლების კომისარიატმა მოსკოვიდან მოიწვია კონსერვატორიის ფორტეპიანოს კლასების ხელმძღვანელად პროფესორი კონსტანტინოპოლსკი.

— **ეგნატე ნინოშვილის ძეგლის გახსნა.** 7 ნოემბერს, ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად, ჩაქვაში გაიხსნა ეგ. ნინოშვილის ძეგლი.

— **„ქუფრი ლანდები".** ვასილ ბარნოვმა დაწერა ახალი რომანი „ქუფრი ლანდები" სამ ნაწილად რომანი გამოვა ცალკე წიგნად.

— **არსენა ჯორჯიაშვილის ძეგლი** არსენა ჯორჯიაშვილის ძეგლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლათ, ორშაბათს, 12 ნოემბერს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილ იქნება რუსულ ენაზე „არშინ მალ-ალან".

— **რკინის-გზის მუშათა კლუბი.** რკინის გზის მუშათა კლუბში დაიწყო ქართული წარმოდგენების გამართვა. წარმოდგენები წავა კვირაში ერთხელ—პარასკეობით.

— **პროლეტარულ მწერალთა კავშირში.** ორშაბათს, 12 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში (სერგეევის ქ. № 13) პოეტი პეტრე სამსონიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე „დემოკრატიული ჰანგები ქართულ პოეზიაში" შესვლა ყველასათვის უფასოა.

დღეს თეატრებში.

— **რუსთაველის თეატრი**—„ინტერესთა თამაში".

— **სახელმწიფო ოპერა.** „დუბროვსკი".

— **სახალხო სახლი.** „გუშინდელნი" მეორეთ.

რუსეთში.

— **მოსკოვის სამხატვრო თეატრის 25 წლის თავი.** 5 ნოემბერს მოსკოვში შესდგა საღამო მოსკოვის სამხატვრო თეატრის არსებობის 25 წლის გამო. ს. ს. რ. კ. განათლების კომისარმა ა ლუნაჩარსკიმ წაიკითხა მოხსენება „მ. ს. თ. მნიშვნელობა რუსეთის კულტურისათვის".

— **„კრასნაია ნოვ."** ამ დღეებში გამოვა ჟურნალ „კრასნაია ნოვ"-ის მეექვსე წიგნი. ჟურნალში მოთავსებული იქნება მაქსიმ გორკის, ა. ტოლსტოის და სხვათა მოთხრობები. წერილები: ბუხარინის „ენჩმენიადა", ვარდინის „მენშევიზმის დაშლა" და სხვ.

— **ბანდიტური ფილმების აკრძალვა.** მთავრობამ სარეპერტუარო კომისიამ დაადგინა გასწმინდოს კინორეპერტუარი ბანდიტურ ფილმებისგან, რომელსაც მრავლად გზავნიან საზღვარ-გარეთიდან რუსეთში, უმთავრესად იმიტომ, რომ ევროპის ბევრ ქალაქებში ცენზურა სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ამ ფილმების წინააღმდეგ.

— **ა. ლუნაჩარსკის ახალი პიესა.** 1-ლ ნოემბერს პატარა თეატრის დარბაზში (მოსკოვში) ა. ლუნაჩარსკიმ წაიკითხა თავისი ახალი პიესა „დათვების ქორწილი".

— **ახალი თეატრი.** პეტროგრადში ეწყობა ახალი თეატრი—„1923 წლის თეატრი". სათავეში უდგანან თეატრისა და ლიტერატურის ახალგაზრდა მუშაკები.

— **გერმანიის რევოლიუცია ეკრანზე.** 1-ლ ნოემბერს მოსკოვში მიიღეს გერმანიის რევოლიუციის ლენტა—ქრონიკა. ეკრანზე გადაღებულია გერმანიის მუშების საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები, მუშების ყრილობები, საქსონიის კომუნისტი მინისტრები, პროლეტარული რაზმები და სხვა.

ეს არის პირველი ნაწილი. დანარჩენი ნაწილები, გერმანიის რევოლიუციის განვითარების მიხედვით გადაღებული იქნება და გამოიგზავნება მოსკოვში.

— **სასარგებლო ფილმები.** მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტმა შეიძინა ს. ს. რ. კ. მუშებისათვის სურათები: „ალკოჰოლიზმი, კრიმინალიზმი და სექსუალიზმი" და „ჭლექი".

პროვინციაში

ქალ. კოჯორი (ტფილისის მაზრა)

ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავათ 7 ნოემბერს ქალ. კოჯორის სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებები საუცხოვოდ იქნა მორთული. მწყობრათ მოიმართებოდა მახლობელ სოფლებიდან გლეხობა და მოსწავლე ახალგაზრდობა. ყველას გამოუთქმელი სიხარული და ენტუზიაზმი ემჩნეოდა, ყველა გრძნობდა, რომ დღესასწაულობდენ დიდ ოქტომბერს, რომელმაც გაანთავისუფლა ისინი ყოველგვარ ჩაგვრა მონობისაგან. აურაცხელ ხალხის თანადასწრებით ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან წარმოთქმულ იქნა სიტყვები ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ; შემდეგ ბავშვებმა დამსწრე საზოგადოებას გაუმართეს წარმოდგენა; წარმოდგენის დაწყების წინ ამხ. ჩხეტიამ წარმოსთქვა სიტყვა; სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ბავშვებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი ოქტომბრის რევოლიუციის შვილები არიან და თუ რაიმე ცოდნას იძენენ—მხოლოდ და მხოლოდ მისი განმტკიცებისათვის.

გაიმართა ადგილობრივ ახალშენის ბავშვების ტანთვარჯიშობა, რამაც საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე. შემდეგ ბავშვებს ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტმა საჩუქრად დაურიგა რვეულები და რამოდენიმე ყუთი წითელი ვაშლები. რეზოლიუციის მიღების შემდეგ პროცესია მწყობრად და ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალა. საღამოს რვა საათზე კოჯორის მუშათა კლუბში ადგილობრივი ძალების მონაწილეობით გაიმართა დიდი საღამო-კონცერტი, რომელმაც დიდი ძალი გლეხობა მიიზიდა; აქაც შესაფერი სიტყვები წარმოითქვა.

აღსანიშნავია, რომ გლეხობა და მათი შვილები, მოსწავლე ახალგაზრდობა დინდათან ითვისებენ კომუნისტური პარტიის იდეოლოგიას და თავისი მონაწილეობით ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულში ამტკიცებენ, რომ მათი ინტერესები მტკიცედ დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლიუციასთან.

ბ. ძ.

ახალციხე

ახალციხის მაზრამ ცხრა გლეხი გააგზავნა მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დასასწრებლად. აღნიშნული გლეხები, შედარებით სხვებთან, ჭკუიან ხალხათ ითვლებიან, მაგრამ თითქმის ყველამ თავიანთი სახელისა და გვარის ხელის მოწერა არ იცოდენ. ასეთი უკულტურო გლეხების წარმომადგენელნი, რომელნიც არა თუ ახალციხის მაზრას, არამედ თავისი თემის საზღვარსაც არ გასცილებიან, გაემგზავრენ შორს, საბჭოთა ქვეყნების ცენტრში, წითელ მოსკოვში.

ჯერ მატარებელში ჯდომამ, შემდეგ მატარებლით ხანგრძლივმა მგზავრობამ და რუსეთის ველ-მინდვრების თვალუწვდენელ სივრცის გავლენამ და ბოლოს დიდი მოსკოვის მრავალ ფეროვან სახეებმა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს გლეხებზე.

ბოლოს ახლოს მივიდენ თვით გამოფენასთან.

ახალციხის გლეხების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს ეს გრანდიოზული გამოფენა, განიცადეს მოსკოვის მუშების სტუმართ მოყვარეობა და ამხანაგური პატივისცემა და სრულიად გაბრუებულნი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ ახალციხის მაზრაში.

თავდაპირველათ თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს ახალციხის მცხოვრებთ კომიაჩეიკის ღია კრებაზე. შემდეგ რაიპარტ მდივნების ხელმძღვანელობით მოეწყო თითქმის ყველა სოფლებში საზოგადო კრებები, სადაც გამოფენაზე მყოფი გლეხები აკეთებდენ მოხსენება შთაბეჭდილებებს გამოფენის შესახებ. ამგვარ მოხსენებებს უდიდესი სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა და მართლაც, მან თავის მიზანს მიაღწია.

ერთი, გამოფენაში მონაწილე გლეხთაგანი, სოფელ კლდის მცხოვრები, გულ-ალი რაჯაბ ოღლი, რომელიც კომპარტიის კანდიდატათ იყო მიღებული, მოსკოვიდან დაბრუნებისათანავე ავად გახდა და გარდაიცვალა.

ახალციხის პარტკომმა მოაწყო ამხ. გულ-ალის დასაფლავება ზეიმით. გასვენებას სოფელში დაესწრო ყველა პარტიული ამხანაგები, კომკავშირის წევრები და ცხენოსანი მილიცია მუსიკით. საფლავზე წარმოთქმული იყო რამოდენიმე სიტყვა და მოუწოდებდენ ამხ. გლეხებს მიებაძათ ამხ. გულ-ალისათვის, შეეგნოთ კომპარტიის მნიშვნელობა გლეხებისა და მუშებისათვის და მით კიდევ უფრო მტკიცეთ დაკავშირებულიყვნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ამხ. გულ-ალის ზეიმით დასაფლავებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხებზე.

მ. ხ.

სოფ. შინდისი (გორის მაზრა)

5 ნოემბერს მოვიდა ქ. ტფილისიდგან ფაბრიკა-ქარხნების სკოლის შეფობის წარმომადგენელი ამხ. გიგო თარხანოვი, რომელმაც 6 ნოემბერს მოიწვია შინდისის რაიონის მიტინგი. დღის წესრიგში იყო შემდეგი მოხსენებები: ოქტომბრის 6 წლის თავი და შეფობის მნიშვნელობა; პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთეს თარხანოვმა და ამხ. სიამაშვილმა. მიტინგმა გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

შემდეგ ამხ. თარხანოვი უხსნის მკაფიოდ შეფობის მნიშვნელობას გლეხებისა და მუშების დაკავშირების საქმისათვის.

არჩეულ იქნა საშეფო კომისია, შვიდი წევრისა და სამი კანდიდატისაგან. ამხ. თარხანოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ, მიტინგი იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

კრების თავმჯ. ლაცაბიძე.

ბიბლიოგრაფია

„ჩვენი სკოლა".

მეორე ნაწილი.

ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი, შედგენილი ფ. მგელაძის, თ. კიკვაძის, გ. ჭუმბურიძის და ი. გოგიას მიერ.
ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი 1923 წ.

დიდი ხანია ველოდით ამ წიგნის გამოსვლას. მესამე და პირველი წიგნი უკვე კარგა ხანია გამოვიდა, ხოლო მეორე ნაწილმა დაიგვიანა.

ჩვენ ვიცოდით, რომ პირველისა და მესამე წიგნის ავტორები მეორე წიგნსაც საიმედოთ შეადგენდნენ. სინამდვილემ ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა.

საუბედუროთ, ჩვენ დაჩვეული ვიყავით წინანდელ სახელმძღვანელოებს, სადაც ერთ ცოცხალ მოთხრობას ჩვენი ცხოვრებიდან ვერ წაიკითხავდით: ყველა ნათარგმნი, ან ულაზათოდ შეთითხნილი იყო. სამაგიეროდ სხვა წიგნებზე წაგებული სავსებით აგვინაზღაურა „ჩვენმა სკოლამ". ეს განსაკუთრებით ითქმის მის მეორე ნაწილზე.

რომელ მოთხრობასაც გადაშლი—მშობლიური, განაცადი სურათია, ხალისით კითხულობს და სიამოვნებს არა თუ პაწია ბავშვი, არამედ მოზრდილიც. მართალია, აქაც შეხვდებით უცხოეთიდან ნასესხებ მოთხრობის თემას, მაგრამ ის ნათარგმნი როდია—გადმოკეთებულია და ისე ხელოვნურად, რომ ქართული კოლორიტი და სახე აქვს მიცემული. ტეხნიკური მხრით, სიმართლე უნდა ითქვას, რომ ასეთი სახელმძღვანელო დღის თუ სრულებით არა, ყოველ შემთხვევაში, იშვიათად მოიპოვება არა მარტო ჩვენში, არამედ საბჭოთა რუსეთშიაც. მართალია, სურათები უნაკლო არ არის, მაგრამ შეიძლება განა ჩვენში დღეს ისეთი წიგნის გამოცემა, რომ მას რაიმე ნაკლი არ ჰქონდეს?

ეხლა სამივე წიგნი „ჩვენი სკოლა" ხელთ გვაქვს. ამ წიგნების გამოსვლამ ჩვენს სკოლას ახალი საფუძველი ჩაუყარა, ახალი ერა შექმნა ავტორები ხელმძღვანელობდენ ურყევი პედაგოგიური პრინციპებით და სალი, ეროვნული აღზრდის ელემენტები შეაქვთ სწავლის საქმეში. ეს ფრიად სასიამოვნოა, რადგან ასეთი პრინციპი არც ერთ სახელმძღვანელოს დღემდე არ ჰქონებია საფუძვლად დადებული. მიმბაძველობა, სხვისი ქურქის ჩვენს ტანზე მორგება, უცხო ქვეყნების სულით სკოლის გაჟღენთა—აი რა პრინციპებზე იყო და არიან სხვა სახელმძღვანელოები აგებული. თითქოს ჩვენ წყალწაღებულნი ვყოთ და თავისი ცხოვრება, თავისი კულტურა და სახე არ გვქონდეს?

ეტყობა „ჩვენი სკოლის" ავტორებს აუღიათ ალღო სკოლის ცხოვრებისათვის და ჩაუყრიათ სახელმძღვანელოს შედგენაში ურყევი ეროვნული საფუძველი როგორც [illegible] რეცენზია ამბობს ეს წიგნი „ზოგადკაცობრიული და ზოგად-ქართული საკითხავი წიგნია".

წიგნებში ყველა კუთხეა წარმოდგენილი, ენა ყველასათვის გასაგებია; ამ მხრით ის ზოგად-ქართულია ასეთი ღირსებანი ხსენებულ წიგნებს, ეჭვს გარეშეა, ყველა დღემდე არსებულ სახელმძღვანელოებზე მაღლა აყენებენ.

წიგნი სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ ნებადართულია როგორც სკოლებში სახმარი სახელმძღვანელო, ხოლო სწავლა განათლების კომისარიატის მიერ ცირკულიარული განკარგულებით, სავალდებულოა სკოლებში შემოსაღებად.

ლ. რანიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი** წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომში სამშაბათს, 13 ნოემბერს საღამოს 7 საათზე.

მეგეორიანი, მეგრაბიანი, არაბაჯიანი, გრიშენკო, ხარმაკდარიანი, ალამალოვი, როხლინი, მიქაძე, ნუცუბიძე გალაქტ., ტრაპაიძე (ა. კ. საოლქო კომიტეტი), თალაკვაძე სევასტი, ვოლი, მარკარიანი და გინსბურგი.

ყველა ზემოაღნიშნულ ამხანაგების გამოცხადება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ნ ა ზ ა რ ო ვ ი.

— კვირას, 11 ნოემბერს, დილის 9 საათზე ავჭალის პარტ-სკოლის შენობაში სოფელ ახალ ავჭალას დანიშნულია ს. კ. პ. **ავჭალის რაიონის** წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) ა. გოლდბაუმის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ამოცანების შესახებ. 2) [illegible] რაიკომის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ. 3) რაიკომის წევრების არჩევნები. 4) მიმდინარე საკითხები.

ს. კ. პ. ავჭალის რაიკომის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. ავჭ. რაიკომის მდივანი ნ. ს ა რ ქ ი ს ო ვ ი.

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი იუწყება** რომ ქვემოხსენებულმა ამხანაგებმა საუბნო კომიტეტში შემოიტანეს განცხადება კომუნისტურ პარტიაში ჩარიცხვის სურვილის შესახებ.

მე-2 საუბნო კომიტეტი სთხოვს ყველა ამხანაგებს და პირთ, ვისაც კი აქვს რაიმე საწინააღმდეგო ცნობები ქვემოხსენებულ ამხანაგების შესახებ, 13 ნოემბრამდე წარმოადგინონ მასალები საუბნო კომიტეტში (ალექსანდროვის ქუჩა № 96).

1. სეტიანცი ივანე,—№ 3 ავტო-სახელოსნოს მუშა. 2. კაშოიანი ივანე—№ 3 ავტო-სახელოსნოს მუშა. 3. ედიგაროვი აბგარი—№ 3 ავტო-სახელოსნოს მუშა. 4. ეგოროვი ევგენი—ინტელიგენტი—ალექსანდროვის საავადმყ. 5. კუზენკო ალინა—ამხ. „ლუქსემბურგის" თამბ. ქარხნის მუშა ქალი. 6. კუდუხაშვილი ვასილი—„პროლეტარი"-ს თამბ. ქარხ. მუშ.

მდივნის მაგიერ ნ ა ზ ა რ ო ვ ი.

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე 4 საუბნო კომიტეტის** სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სამშაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე საუბნო კომიტეტის ბინაზე იწვევს **მე 4 საუბნო კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო კოლექტივის** სხდომას. მოიწვევიან: კოლექტივის წევრები—ამხ. განკინი, ოკუჯავა, ა. ესსენი, გვიანაროვი, იოსელოვიჩი, რუხაძე და ელისაბედაშვილი.

გთხოვთ არ დაიგვიანოთ.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ა რ უ ს ტ ა ნ ო ვ ი.

— ორშაბათს, 12 ნოემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება **საქართველოს პროლეტარული სტუდენტობის დახმარების კვირეულის გამტარებელ ცენტრალურ კომისიის** სხდომა.

მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: ს. ორჯონიკიძე, ა. მიასნიკოვი, დ. კანდელაკი, მარო ორახელაშვილი, ა. კვირიკაძე, გ. რუხაძე, ს. სტეფანოვი და ა. ქაჯაია.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესენი.

პროფესიული

საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის სამდივნო ამით აცხადებს, რომ საქალაქო კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო 11 ამა ნოემბერს, სრულიად საქართველოს მესამე ყრილობაზე დელეგატების ასარჩევად გადადებულია 12 ნოემბრისათვის საღამოს 5 საათზე პროფსაბჭოს პატარა დარბაზში.

კონფერენციის დელეგატების კომპარტიის წევრების სხდომა მოწვეულია 11 ნოემბერს დილის 10 საათზე კავშირის ბინაზე.

განათლების მუშაკთა სახლში.

— კვირას, 11 ნოემბერს, საღ. 6 საათ. მეცადინეობა მუსულმანთა წრეში ამხ. პროცენკოს ხელმძღვანელობით.

— ორშაბათს, 12 ნოემბერს, საღ. 7 საათ. მარქსისტული წრე № 1 ამხ. სნეგიროვას ხელმძღვანელობით. მეცადინეობა იწარმოებს მეორე საცდელ-სანიმუშო სკოლაში (მიხეილის პრ. 170).

— ორშაბათს, 12 ნოემბერს. საღ. 6 ს. არა ქართულ სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა წრის სხდომა.

— სამშაბათს, 13 ნოემბერს, საღ. 6 ს. პოლიტეკონომიის წრის სხდომა რუსულ ენაზე ამხ. ალაგარდიანის ხელმძღვანელობით.

— სამშაბათს, 13 ნოემბერს, საღ. 6 ნახ. საათ. ისტორიულ მატერიალიზმის წრის სხდომა ამხ. გეკერის ხელმძღვანელობით.

— სამშაბათს, 13 ნოემბერს, საღ. 6 ს. საორგანიზაციო კრება წრეების, რომლებიც მეცადინეობენ ქართულ ენაზე ბუნებას მეტყველება გეოგრაფია, ფიზიკა, მათემატიკაში. კომისიის მოხსენება მუშაობის გეგმის შესახებ.

— ოთხშაბათს, 14 ნოემბერს, საღ. 7 ს. საზოგადოებრივ მეტყველების წრე სომხურ ენაზე.

— ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღ. 6 ს. სკოლებთან არსებულ საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა წრე ქართულ ენაზე.

— ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღ. 7 საათ. მარქსისტული წრე სომხურ ენაზე ამხ. პოლოსიანის ხელმძღვანელობით.

— სამშაბათს, 21 ნოემბერს, საღ. 7 საათ. ისტორიულ მატერიალიზმის წრის მეცადინეობა ამხ. გეკერის ხელმძღვანელობით.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შ ი უ კ ა შ ვ ი ლ ი.
კავშირის საქმეთა მმართველი ბ ა რ ა მ ი ძ ე.

— 12 ნოემბერს, ორშაბათს, საღ. 7 საათზე, დანიშნულია ყველა ტეხნიკურ თანამშრომელთა კრება პოლიტანბანის წრის საორგანიზაციოდ.

— 13 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, პოლიტეკონომიის წრის სხდომა რუსულ ენაზე მანაკინის მოხსენება პოლიტეკონომიის საგანი.

ორშაბათს, 12 ნოემბერს, საღ. 7 ს., ფიზიკო-მათემატიკის წრეში რუსულ ენაზე კალიშევსკის მოხსენება პირველი კონცენტრის ფიზიკის კურსის შესახებ 7 წლედში თამამშევის ალგებრული ელემენტი ოთხ წლედში.

პერელმანის წიგნის რეცენზია.

ფიზიკური ქრესტომატია.

ამავე დღეს საღ. 6 საათზე, ფიზიკისა და მათემატიკის პროგრამის შემდგენი კომისიის სხდომა.

13 ნოემბერს, საღ. 7 საათზე, მათემატიკური წრის სხდომა სომხურ ენაზე.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შ ი უ კ ა შ ვ ი ლ ი.
საქმეთა მმართველი ბ ა რ ა მ ი ძ ე.

განცხადებები

გულდამწუხრებულნი: დედა—ნინო როსტომის ასული ქეჩინაძის, ქმარი—ვლადიმერ მიხეილის-ძე და შვილი—გოგი (მიშა) რცხილაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე
მარიამ (მერი) ტერენტის ასულის
რცხილაძის
სულის მოსახსენებლად კვირას, 11 ნოემბერს—11 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

კვირას, 11 ნოემბერს, 3 საათზე გადახდილი იქნება წმინდა ნინოს ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი ერთი წლის წინათ ტრაგიკულათ დაღუპული
ბესარიონი (იგივე ვასო) ვატას ძე
სურმავასი
რასაც აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ მეგობრებს დედა ეფუკია სარჩიმელიას ასული სურმავასი; ძმა დომენტი, ბიძაშვილები: ალექსანდრე და ერასტო სურმავები; დის შვილი: მატრონა ფაციას ასული; ბიძაშვილის ცოლი ეფროსიმე წულაიას ასული სურმავასი—პატარა დომენტი და მიშა სურმავები.
128—2—2

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ხირურგიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ჯიჯიშვილის ხელმძღვანელობით. ტფილისი, გორდანოვის ქ. № 20 (126 25 2)

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის
გ. დ. ხანციხის
მედიცინის ექიმის ვ. ვ. შენგელიძის
შუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან—4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტერნის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18—14.
(46—25—20)

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა
ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
78 25—13

დაიკარგა მე შალვა თეიმურაზის-ძე ლომსაძემ დამზღვევი კასის წიგნაკი, ჩაითვალოს გაუქმებულად. (131—1—1).

დაიკარგა პირადობის მეტრიკა მოცემული ქუთაისის ებრაელების სინაგოგის კანცელარიიდან, რომელშიაც დაბადების დროთ აღნიშნულია 1906 წ. 25 დეკემბერი, გთხოვთ ჩაითვალოთ გაუქმებულად. არონ იაკობაშვილი. (130—1—1)

„ზარია ვოსტოკა" სტამბა
სლუქაძის ქ. № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა